

ს ი ლ ი

ტრაგედია 5 მოქმედებად

მოქმედი პირნი

დონ ფერნანდო, კასტილის პირველი მეფე.
დონა ურაკა, კასტილიელი ინფანტა.
დონ დიეგო, დონ როდრიგოს მამა.
დონ გომესი, გრაფი გორმასი, ხიმენას მამა.
დონ როდრიგო, ხიმენას სატრფო.
დონ სანჩო, ხიმენაზე შეყვარებული.
დონ არიასი, {კასტილიელი თავადები.
დონ ალონსო {
ხიმენა, დონ გომესის ქალიშვილი.
ლენორა, ინფანტას გალია.
ელვირა, ხიმენას გალია.
ინფანტას პაჟი.

მოქმედება წარმოებს სევილიაში.

მოქმედება პირველი

გამოსვლა პირველი

ხიმენა, ელვირა

ხიმენა

ელვირა, მითხარ, ხომ ყველაფერს წრფელად მიყვები?
ხომ უტყუარად გადმომეცი მამის სიტყვები?

ელვირა

მისი საუბრით რაოდენი ვიგრძენი ლხენა:
უყვარს როდრიგო ისე, როგორც ვიყვართ თვით თქვენა.
და, თუ ფიქრების გამოცნობა შესაძლო არის,
ვფიცავ, თქვენს ზრახვას არ შეხვდება იგი უარით.

ხიმენა

სთქვი ერთხელ კიდევ, ვით შეიტყე, როგორა სცანი,
რომ მამას მოსწონს და ახარებს ეს არჩევანი?
კვლავ მომასმინე საუბარი გულის დამტკბობი,
კვლავ სიხარული მომანიჭე მაგ ნაამბობით:
ბედის ვარსკვლავი ნუთუ მართლა გამიბრწყინდება,
და წმიდა ტრფობა ბედნიერად დავვირგვინდება?
ნეტავი მამამ თუ მიაგნო ქსელის სათავეს,
რომელსაც სანჩო და როდრიგო ჩუმად ხლართავენ?
ხომ ვერ მიგისვდა, თუ რომელზე ოცნებით ვტყვები?
ვისი ერთგული იმათ შორის ბოლომდე ვრჩები?

ელვირა

მე მოვახსენე, რომ თქვენ თავი გიჭირავთ მძიმედ,
 რომ არც ერთსა და არც მეორეს არ აძლევთ იმედს.
 და, თუმც სიქველე ორივესი ღირსია ქების,
 მზადა ხართ, საქმრო აირჩიოთ მშობელის ნებით.
 ამის გამგონემ აღტაცება ვეღარ დაფარა,
 რაც მის ბაგეზე და თვალებში ჩანდა აშკარად,
 და რაკი გინდათ საუბარი გაგრძელდეს დიდხანს,
 ვეტყვით ყველაფერს, რაც იმათზე და თქვენზე მითხრა.
 „კარგად იქცევა. მას ორივე შეჭფერის ქმარად,
 მათში ჩქეფს სისხლი გვაროვანთა, ერთგული მარად.
 და ქაბუკური მათი მზერა ადვილად ამხელს,
 მამა-პაპათა შეუბღალავ, ბრწყინვალე სახელს,
 განსაკუთრებით როდრიგოში ნათლად ვლინდება
 დიადი სული, მამაცური ძალა და ნება.
 არ შეუშვიათ მის წინაპრებს ხმლისათვის ხელი
 და გამარჯვებაც მოიპოვეს აურაცხელი.
 ყველა მოუსრავთ, მოუსპიათ, ვისაც შებმიან,
 მათი შვილები გვირგვინებით იბადებიან.
 სიჭაბუკეში მამამისი იყო ქებული,
 ქველი, მამაცი მტერზე მუდამ გამარჯვებული.
 იმისი შუბლი დაულარავს დიდების ზოლებს
 და მოგვაგონებს მამაცურად გადახდილ ბრძოლებს.
 შვილიც კარგია, მამის ხმლისა შეჭფერს ტარება
 და მე ხიმენას მოვუწონებ მის შეყვარებას.“
 უცებ შეწყვიტა საუბარი, დრო აღარ ჰქონდა,
 თათბირზე იყო მიწვეული, ეჩქარებოდა.
 მაგრამ რაც მითხრა, ხომ უტყუარ საბუთად რჩება,
 ხომ აშკარაა, ვის აკუთვნებს იგი არჩევანს?
 უფლისწულისთვის დღეს აღმზრდელი დაინიშნება
 და მამათქვენზე შესაფერი სხვა ვინ იქნება?
 მრავალღვაწლმოსილს აღარა აქვს არაფრის შიში,
 ან რას დააკლებს მეტოქეთა მას იერიში?

მას დიდი ღვაწლით მეფის ნდობა მოუხვეჭია
 და ეს პატივი არ ასცდება, რაღა ეჭვია?
 თათბირის შემდეგ, დონ როდრიგოს სურვილი არის
 დიეგომ შვილზე გაუმართოს გრაფს საუბარი.
 თვითონ განსაჯეთ, როდრიგოზე რას ეტყვის მამა, —
 სულ მალე უნდა გაგიღიმოთ ბედის ვარსკვლავმა.

ხიმენა

ელვირა, რა ვქნა, მაინც ვწუხვარ, მაინც ვერ ვბედავ
 ვიმხიარულო, მიხარია თუმც მეტისმეტად;
 რადგანაც ბედი ხან გვწყალობს და ხან გვემღურება,
 ბედნიერების დროს მაშინებს უბედურება.

ელვირა

უსაფუძვლოა თქვენი შიში ხიმენა, მენდეთ.

ხიმენა

რაც უნდა მოხდეს, წავიდეთ და ველოდოთ შედეგს.

გამოსვლა მეოცე

ინფანტა, ლეონორა, პაუი

ინფანტა

პაუო, ხიმენას გადაეცით, რატომ არ მოდის?
 უსაყვედურეთ — ვეღარ ვიტან მე ამდენ ლოდინს.
 ეს გულცივობა მეგობრისა მეტისმეტია.

(პაუი გადის)

ლეონორა

თქვენი სურვილი, ქალბატონო, მუდამ ერთია,
 ერთს და იმავეს ეკითხებით მომბეზრებლად.
 გინდათ გაიგოთ, ტრფობის ალი როგორ ედებათ.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

ამას თავისი აქვს საბაბი და გამართლება —
მე მოვისურვე, რომ აღძროდა მას მწველი ვნება.
ჩემით მოიგო როდრიგომაც ხიმენას გული,
მე დამიმადლოს გამარჯვება და სიხარული.
მე მათი ტრფობა გამოვქედე ჩემივე ხელით
და ამიტომაც მოუთმენლად დასასრულს ველი.

ლ ე ო ნ ო რ ა

მაგრამ, ძვირფასო ქალბატონო, აშკარად ამხელთ
იმათი ტრფობით გამოწვეულ სევდას და ნაღველს.
ამ სიყვარულის მგზნებარება, უნაზესობა,
ვერ გამიგია, თქვენს გულს ეკლად რატომ ესობა!
თვითონ ისურვეთ ხომ იმათი ბედნიერება?
ახლა რა მოგდით? რად დაკარგეთ ნეტავი შვება?
მაგრამ ვაჭარბებ. მაპატიეთ კადნიერება.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

სიყვარულს ვმაღავ და ეს გულზე ცეცხლად მედება.
გეტყვი, ვით ვებრძვი საკუთარ თავს და როგორ ვდნები —
ვიცავ ღირსებას, რათა გრძნობას შევკვეცო ფრთები.
მრისხანე ტრფობა ყველას ტანჯავს, არავის ინდობს:
სხვას რომ ვაჩუქე, ის როდრიგო მე მიყვარს თვითონ.

ლ ე ო ნ ო რ ა

ამას რას ამბობთ! გიყვართ!

ი ნ ფ ა ნ ტ ა

გულზე დამადე ხელი.

როგორ აძგერდა, როს მოესმა მისი სახელი.

როგორ აღელდა!

ლ ე ო ნ ო რ ა

მაპატიეთ, არ გეკადრებათ:

მე ვგმობ თქვენს გულში დაბუღებულ მაგ მაცოურ ვნებას.
როგორ იქნება მეფის ქალმა დათმოთ ღირსება!
უბრალო რაინდს რომ ეტრფოდეთ, არა გაქვთ ნება.
ყველა გაგაკიცხავთ დიდი გვარის დამამცირებელს,
აბა რას იტყვის კასტილია, რას იტყვის მეფე?

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მე კარგად ვიცი, ყველაფერი ამიწონია,
ჩემი ღირსება დავამცირე — ნურვის ჰგონია.
მშვენიერ სულში მოგიზგიზე და დაუმცხრალი
მხოლოდ ღირსებას აქვს უფლება აღანთოს ალი.
ჩემი ტრფილის გამართლება ძნელი არ არის, —
წარსულშიც ნახავთ აურაცხელ ამის მაგალითს.
მაგრამ მე არ მსურს ვანაცვალო ღირსებას ვნება,
გრძნობათა ღელვა ვერ შეარყევს ჩემს მტკიცე ნებას.
არ შემეცვლება არასოდეს სურვილი მყარი,
რომ უფლისწული იყოს ჩემი სატრფო და ქმარი.
როდესაც გულმა ვერ ჩააქრო დამწველი ვნება,
სხვას მივეც, რისიც ვერ გავბედე დასაკუთრება,
მივეც ხიმენას, შევასრულე ღირსების ვალი.
მათ ცეცხლს ვაჩადებ, რომ ჩავიქრო ჩემს გულში ალი.
და რომ მეღირსოს მოსვენება და ტკბილი ძილი,
მე ძლიერ მინდა მალე ვნახო მათი ქორწილი.
მწამს, ამის შემდეგ მეღირსება ნამდვილი შვება:
ტრფობა იმედით სულდგმულობს და მასთანვე კვდება.
ცეცხლი ჩაქრება, თუკი დროზე არ შეუკეთე.
თუ ვერ ვეღირსე, ვერ მოვესწარ იღბალს უკეთესს,
თუ მიჯნურების გულითადი ნატვრა ახდება,
მოკვდება ტრფობა, ხოლო სული — გაჯანსაღდება.
და ტანჯვა მაინც არ განელდა, არ გამიქარვდა:
მე ხომ როდრიგო ხიმენაზე აღრე მიყვარდა.

მსურს დავივიწყო, მაგრამ რა ვქნა, არ მემეტება.
უჩინარი და უღმობელი ცეცხლი მეღება.
სიყვარულს უნდა ოხვრითა და კვნესით მაწამოს,
რათა როდრიგო შევიძულო სამარადჟამოდ.
გონებას გულის დამარცხება თუმცა სწადია,
გულში, ვით წინათ, სიყვარული მაინც ანთია.
თუმცა მსურს მათი ქორწინება, ღონდება გული,
ვიცი, მაშინაც არ ვიქნები დამშვიდებული.
ისე უღმობლად შეებრძოლა ღირსება ვნებას,
მოკვდები წამსვე, როს როდრიგო დაქორწინდება.

ლ ე ო ნ ო რ ა

რით განუგემოთ ქალბატონო, თვითონ არ ვიცი.
ერთს გეტყვით მხოლოდ, თქვენი ცოდვით ახლა მეც ვიწვი-
წელან გვიცხავდით, მებრალეებით ახლა ძალიან,
მაგრამ რადგან გწამთ, რომ სიმტკიცე თქვენი ვალია,
რაკი არა თმობს, რაკი იბრძვის დიდი ბუნება,
რომ დამარცხოს და მოუღოს ბოლო ცთუნებას,
გარწმუნებთ, ბოლოს გამარჯვება თქვენი იქნება
მაგ გულისტკივილს დაგიაშვებთ დროთა დინება.
მაღალი ზეცის სამართლიანს მიენდეთ განსჯას,
იგი გიშველით, ავაცილებთ ამო ტანჯვას.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მატკობს იმედი, რომ იმედი აღარ მექნება.

ჰ ა ე ი

ხიმენა გიცდით, სურს გეახლოთ, მიეცით ნება.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

(ლეონორას)

გთხოვთ მასთან ერთად დერეფანში ცოტა ხნით დარჩეთ.

ლ ე ო ნ ო რ ა

მარტოდ გსურთ ფიქრი და ჩემს წასვლას ამიტომ არჩევთ?

ი ნ ფ ა ნ ტ ა

ო, არა სული საშინელმა შეიპყრო ბინდმა,
მარტოობაში გულისღელვა დავიცხრო მინდა.
ახლავე მოვალ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

ი ნ ფ ა ნ ტ ა (მარტო)

ღმერთო, შენ ხომ ყველაფერს ხედავ,

მომხედე ცოდვილს, განმარიდე მტანჯველი სევდა.
ისმინე ჩემი ვედრება და მომეცი შვება!
ბედნიერებას მსურს შეეწირო ბედნიერება.
სამთა სიმშვიდეს დაამკვიდრებს მხოლოდ ქორწილი.
ან ეს აღსრულდეს, ანდა ძალა მომეც ორწილი.
შეაკავშირე მიჯნურები — ეს მიხსნის მხოლოდ,
სასო წამართვი, რათა ტანჯვას მოეღოს ბოლო.
მაგრამ დრო არის. მეჩქარება ხიმენას ნახვა.
მასთან საუბრით მსურს დავიცხრო კაეშნის ტალღა.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო თ ხ ე

გ რ ა ფ ი, დ ო ნ დ ი ე გ ო

გ რ ა ფ ი

ამრიგად, თქვენი გამარჯვება ჩემს სახელს ჩრდილავს,
პატივი, მე რომ მეკუთვნოდა, თქვენ გერგოვს წილად.
თქვენ ხომ ხელმწიფემ უფლისწულის აღზრდა მოცანითა.



დონ დიეგო

მეფემ რომ ესდენ საამაყო პატივი დამდო,
მამასადამე ღირსეულად, ერთგულად მთვლიდა
და დაამტკიცა, რომ ღვაწლს იგი აფასებს დიდად.

გ რ ა ფ ი

ჩვენებრ კაცია თვითეული ტახტის მპყრობელი,
ამიტომ აღარც მეფე არის შეუცდომელი.
ეს არჩევანი მხოლოდ იმას მოწმობს ნამდვილად,
რომ კარისკაცის ღვაწლს ივიწყებს მეფე ადვილად.

დონ დიეგო

გთხოვთ რომ დამშვიდდეთ, ნუ ვიდავებთ, კამათი კმარა.
ეგებ წყალობამ აღმამალა, ღვაწლმა კი არა.
მაგრამ ველირსე ხელმწიფისგან დიდ მოწყალებას
და ვალად მადევს შევასრულო მისი ბრძანება.
ახლა პატივი თქვენაც დამდეთ: გთხოვთ გრაფო წრფელად,
რომ ოჯახებით დავკავშირდეთ განუყოფელად.
ერთი ვაჟი მყავს, თქვენაც ერთი გყავთ ქალიშვილი,
მათი ქორწილით მეგობრობა მოგველის ტკბილი.
თქვენთან მოყვრობა გადასწყვიტა როდრიგომ მტკიცედ.

გ რ ა ფ ი

არ ითაკილებს დამცირებულს გაუხედეს სიძედ?
ის ახლა უნდა სულდგმულობდეს სხვა აღმაფრენით,
რაიც თქვენს ახალ წარჩინებას უმეტეს შეგნის.
მამ შეუდგეით უფლისწულის საკადრის აღზრდას,
პროვინციების გონივრული ასწავლეთ მართვა,
ასწავლეთ, რომ ჯობს ხალხი ჰყავდეს დაშინებული,
მტერს მტრულად დახედეს, შეიყვაროს მოყვარე გულით.
ამასთან უნდა ჩაუნერგოთ მეომრის ჩვევა,
გასაქირის და განსაცდელის ასწავლეთ ძლევა.

აწრთეთ, რომ გახედეს ომის ღმერთი სწორუბოვარი,
არ იღლებოდეს დღე და ღამე შერანზე მჯდარი.
ციხე-სიმაგრის აღებაში არ ჰყავდეს სწორი
და მამაცობით გადასწონოს ბრძოლის სასწორი.
ქველათერს კარგად შეასწავლით, არ გაწბილდებით,
თუ ისარგებლებთ თვალსაჩინო მაგალითებით.

დონ დიეგო

მაგალითების ძალა, ვიცი, მართლაც დიდია,
ჩემი ცხოვრებაც ხომ ცოცხალი მაგალითია!
დიად საქმეთა მატთანის მთელი ხვეული
ასწავლის, როგორ მოსპოს მტერი შემოსეული,
წაუძღვეს ლაშქარს და მიეჭრას ციხეს ყიყინით,
ძლევა მოსილმა დაიმშვენოს გმირის გვირგვინი.

გ რ ა ფ ი

ცოცხალ მაგალითს რა სჯობია, მძლავრია იგი,
სამეფოს მართვას ვერ ასწავლით მარტოდენ წიგნით.
ბოლოს და ბოლოს თქვენს ნაღვაწსა და თქვენს დიდებას
ჩემი ერთი დღის მამაცობა უდრის კიდევაც.
წინათ იყავით თქვენ მამაცი, ხოლო დღეს — მე ვარ.
ჩემი მარჯვენის ვერ შეიძლო ვერავინ ძლევა.
შიშის ზარსა ვცემ გრენადასა და არაგონსაც,
ჩემს მოიმედე კასტილიას დიდებით ვმოსავ.
მე რომ არ ვიყო, თქვენს კანონებს შეცვლიდა სხვისი,
მტერი დაგძლევდათ, დაგიპყრობდათ აღსაესე რისხვით.
ჩემი ღირსება და სახელი სწრაფად იზრდება,
ხედიხედ მიწნავს დაფნის გვირგვინს ჩემი დიდება.
უფლისწულს თვითონ რომ ენახა, ხმაღს როგორ ვიქნევ,
გამოსულიყო უკეთესი რაინდი იქნებ.
შეისწავლიდა მტერთა ძლევას, დამორჩილებას,
შეისწავლიდა როგორ უნდა დაცვა დიდებას.
იგი...

დონ დიეგო

მე ვიცი, თქვენ ერთგულად მსახურებთ მეფეს,
ბრძოლებში მახლდით და იბრძოდით, ვით რაინდს შეჰფერს.
როცა სიბერემ ჩემს ძარღვებში გაყინა სისხლი,
მე თქვენ შემცვალეთ, რადგან ამის იყავით ღირსი.
გეტყვიტ გულდიად, რომ თქვენ ახლა იმგვარად ბრწყინავთ,
ხართ ისეთივე, როგორიც მე ვიყავი წინათ.
ამ შემთხვევაში კი, ხომ ხედავთ, აშკარა არის,
თქვენს და ჩემს შორის მბრძანებელმა გაავლო ზღვარი.

გრაფი

მე თქვენ წამართვით ღირსება და ბედნიერება.

დონ დიეგო

ვინაც ღირსია, წარჩინებაც იმას ერგება.

გრაფი

მას, ვინაც იგი უფრო მეტად დაიმსახურა.

დონ დიეგო

ეს რომ ასეა, ამ შემთხვევამც დაადასტურა.

გრაფი

აღმზრდელის ადგილს მიაღწიეთ მარჯვე ფანდებით.

დონ დიეგო

ჩემი დიდება იყო მხოლოდ ჩემი თავდები.

გრაფი

თქვენმა ჭალარამ იმოქმედა მეფეზე ეგებ!

დონ დიეგო

ადამიანში, უწინარეს, ის ვაჟაცს ეძებს.

გრაფი

თუ ასე არის, არჩევანი რად არ მხვდა წილად?

დონ დიეგო

ვისაც არა ხვდა, იგი ღირსიც არა ყოფილა.

გრაფი

არ არის ღირსი? ვინა?

დონ დიეგო

თქვენა.

გრაფი

კმარა, გეყოფა.

ურცხვო ბებერო, არ შეგარჩენ მაგ თავხედობას.

(სილას გააწნის)

დონ დიეგო

(ხმალს იშიშვლებს)

მომკალი ბარემ, მე სიცოცხლე აღარ მჭირდება,
ჩემი ოჯახი ვერ აიტანს ამ დამცირობას!

გრაფი

სად შეგწევს ძალა, რომ დაიცვა ბებერმა თავი.

დონ დიეგო

ო, როგორ შევრცხვი! ღმერთო, რა დროს მღალატობს მკლავი!

გრაფი

თუმც დაგამარცხე, არ ვთვლი ამას დიდ გამარჯვებად.
მაგ ხმალს შერცხვენის არ ავიღებ, შენვე დაგრჩება.
მშვიდობით. მეფის ვაჟს უჩვენე მაგალითები,
როგორ ცხოვრობდი, ვით შემოსე მკლავი დიდებით.
გმირობაზე რომ ესაუბრო, იცოდე იმ დროს
ნუ დაივიწყებ ლაყბობისთვის მიღებულ ჯილდოს.

გამოსვლა მხუთე

დონ დიეგო

ბრაზმა დამახრჩო! ო, სიბერე, რად არ დამინდე!
 გმირი ვიყავი, სამარეში ლაჩრად ჩავიდე?
 ნუთუ ომებში მხოლოდ მიტომ გავქალარავდი,
 ერთ დღეს დაექნო, რაც გვირგვინი ვპოვე აქამდის.
 მკლავი, ყოველი ესპანელი ასე რომ ლოცავს,
 ბევრჯერ რომ იხსნა იმპერია და მტერი ხოცა,
 ჩვენთა მეფეთა ტახტის მცველი მარჯვე და სანდო,
 შეტაკების დროს მიდუნდება, ურცხვად მლაღატობს.
 სად ხარ დიდებავ! ო, მარჯვენავ, ცუდად მაშვრალო,
 ამდენი ღვაწლი ერთმა დღემა როგორ წაშალოს.
 ახლად ნაპოვნო ღირსებათ — მოსისხლე მტერო,
 გრაფთან ჭიდილი გამიმართე საბედისწერო.
 ო, ნუთუ უნდა შერცხვენილმა დავლიო სული,
 გზას გითმობ გრაფო, აწ აღზარდე შენ უფლისწული.
 მდაბალმა შურმა აგიმღვრია ძარღვებში სისხლი.
 დასტკბი: აღარ ვარ დიდების და პატივის ღირსი.
 მახვილო, შიშს რომ თესდი წინათ მტერთა რიგებში,
 ამ სიბერეში სათამაშოდ რატომ იქეცი!
 შურისგებისთვის როს მოგმართე ნაცად იარაღს,
 გამომადექი სამკაულად, მცველად კი არა.
 ველარ გატარებ — მე ლეჩაქი თავზე დამხურეს,
 ვინც ჩემზე უკეთ შურს იძიებს, მას ემსახურე.

გამოსვლა მემკვსე

დონ დიეგო, დონ როდრიგო

დონ დიეგო

ხომ ხარ გულადი?

დონ როდრიგო

რომ არ იყოთ თქვენ ჩემი მამა,
 დაგიმტკიცებლით საკადრისი პასუხით ამას.

დონ დიეგო

ო, მიხარია, რომ აენთე უეცრივ რისხვით.
 შენ ეს გიხდება — საკუთარი ვიცანი სისხლი.
 მაგ ზიფიცხეში მე ჩემს წარსულს თვალნათლივ ვხედავ.
 დამიხსენ, შვილო, სირცხვილისგან, მიმტყუნა ბედმა.
 იძიე შური.

დონ როდრიგო

რისთვის?

დონ დიეგო

გვარის შებლაღვისათვის,

რაც ჩვენ ორივეს გაუგონარ სირცხვილს გვიქადის.
 გამაწნეს სილა! ვაგლახ, თავი ვერ დავიცავი,
 სიბერემ ისე მომიდუნა მამაცი მკლავი.
 რად მინდა ხმალი, შურისგების თუ ვერ კლავს წყურვილს,
 მიიღე იგი, ღირსეულად იძიე შური.
 გასწი და თავხედს ეს მახვილი მეხივით დაჰკა —
 სისხლი ჩამოგვრეცხს წარუშლელი სირცხვილის ლაქას.
 ან მოჰკალი და ან შეაკვდი. არ დაგიმაღავ:
 მას უჭრის ხმალი, მარჯვე არის და ერჩის ძალა.
 მინახავს იგი სისხლის ტბაში შეცურებული,
 ზარდაცემული გაურბოდა ჯარი ძლეული.
 მრავალ ესკადრონს დაადინა მან სისხლის ღვარი.
 უფრო მეტს გეტყვი: განა მარტო რაინდი არის,
 გმირთა გმირია, ბევრი ციხე დანებდა მამაცს.
 იგი...

დონ როდრიგო

ვინ არის, მითხარ ჩქარა.

დონ დიეგო

ხიმენას მამა.

ხიმენას მამა...

დონ როდრიგო

დონ დიეგო

ო, ნურას მეტყვი, ვიცი ყოველი.
რა გაეწყობა, გვარს შერცხვენა როცა მოელის.
თუ ღირსეულმა დაგამცირა, მით უარესი.
ახლა შენ იცი, შენს ხელთ არის ხმალი ნალესი.
სხვა რაღა ვითხრა? შურისძიებ შენა ხარ მხოლოდ.
მტერს ღირსეულად შეები და მოუღე ბოლო.
მწარე ნაღველმა რომ არ მოჰკლას მოხუცის გული,
გასწი, გაფრინდი და დაბრუნდი გამარჯვებული.

გამოსვლა მუხილე

დონ როდრიგო

შიგ გულში მომხვდა ბასრი ისარი.
ჩემი სიცოცხლე ასე მალე სასწოროზე დადეს.
შურისძიება მალონებს და ვალადაც მადევს.
უსამართლობას ჩემს გარშემო ვხედავ სიმწარით.
ვდგავარ უძრავად, ამიტანა ბოლმამ და დარდმა,
ძლივს ვუმკლავდები საზარელ დარტყმას.
ბედნიერებით არ გამახარა

ციურმა ძალმა.

ვინც შემირცხვინა მამის ჭიკარა,
ვაგლახ, რომ არის ხიმენას მამა.

გულმა გრძნობები ვერ დაიოკა.
ღირსებას ვიცავ, მაგრამ ტრფობა წინ მეღობება.
შური ვიძიო? მაშინ სატრფო ხომ განმშორდება.
ერთი გულს მინთებს, მეორე კი ხელებს მითოკავს.
არ ვიცი, რა ვქნა: მწუხარება ვარჩიო ტრფობას,

თუ ავიტანო შეურაცხყოფა,
როგორ გავუძლო ამდენ ვაებას,
ვინ მომცემს წამალს!
შურისძიება თუმც მევალება,
როგორ დავსაჯო ხიმენას მამა?

მიჯნური, ტრფობა, სინდისი, მამა,
მამული ტკბილი, უძლეველი ხელისუფლება!
ბედნიერება, ან დიდება დაიღუპება.
გავიმარჯვებ თუ დავმარცხდები, საშველი არ მაქვს.
კეთილშობილი სულისა და მიჯნურთ იმედო,
უბედობავ და ბრწყინვალე ბედო,
ხმალო, შავ ფიქრთა ლაშქარს რად მისევ,
ჭირს ჭირზე მირთავ,—
იქნებ გსურს ვპოვო ღირსება ისევ,
იქნებ ხიმენას წართმევა გინდა.

ასეთ სიცოცხლეს ჯობს ვიყო მკვდარი.
მე ვალი მაძევს თანაბარი სატრფოს და მამის.
შურს თუ ვიძიებ, განრისხდება მიჯნური ამით,
არა და მაშინ ჩემი ხვედრი ძაგება არის.
შურისძიებამ შეიწიროს იმედი ტკბილი,
თუ მუდამ მდევდეს სირცხვილის ჩრდილი?
არ არის შველა. რაც უნდა მოხდეს —
გამაგრდი, გულო.
თუ სიკვდილია, ჯობს ისე მოკვდეეთ —
ხიმენას ჰქონდეს სასიქადულოდ.

მაგრამ სიკვდილი აუგვიანი?
საფლავში ჩასვლა უსახელოდ და შერცხვენილად?
ესპანელების არ ამცდება ლანძღვა და კილვა,
შეიბღალეობა ჩემი გვარი მარად სვიანი.

დავთმო ღირსება, დავმორჩილდე ტრფობას სრულიად,
რომელიც უკვე დაკარგულია?
მამის ღალატი ვერ ეთვისება
ჩემს სიჭაბუკეს.
გამიჭერ, ხმალო, ვიხსნათ ღირსება,
რადგან ხიმენა დავკარგეთ უკვე.

არ ძალუძს განსჯა გონებას დაღლილს,
ცხადია, გვმართებს მამის ვალი მიჯნურზე მეტად.
ხმალი გამგმირავეს, თუ მომკლავს სევდა,
მე ჩემს წმიდა სისხლს დიდებისათვის ბრძოლაში დავღვრი-
ისედაც დიდხანს ვიყოყმანე, ახლა კი კმარა,
წავიდეთ, შური ვიძიოთ ჩქარა.
ნუ დავაყოვნებთ თავხედთან რკენას,
ავგანთოს ვალმა,
არ შევარჩინოთ გვარის შერცხვენა,
თუმცა ის არის ხიმენას მამა.

მოკმედება მეორე

გამოსვლა პიჩველი

დონ არიასი, გრაფი

გრაფი

ჩვენს შორის დარჩეს, ბრაზმა ისე წამართვა ცნობა,
ვირ შევიძელი რომ დამეცვა წონასწორობა.
რაც იყო, იყო. წამხდარ საქმეს არ ეშველება.

დონ არიასი

სხვა გზა არ არის — დამორჩილდით ხელმწიფის ნებას:
წყენას, მეფეს რომ მიაყენეთ, ვერაფრით იზღავთ
და შეიძლება საშინელი დაგატყდეთ რისხვა.
თავის მართლება ფუჭია და შეუძლებელი:
აკი ხელმწიფის ერთგულ კაცზე აღმართეთ ხელი.
სავალალოა თქვენი ხედრი, განსაჯეთ თვითონ,
დანაშაული სრულად უნდა გამოისყიდოთ.

გრაფი

მეფე განაგებს ჩემს სიცოცხლეს, როდი ვივიწყებ.

დონ არიასი

დანაშაულის მიზეზია თქვენი სიფიცხე.
მაინც უყვარხართ, შეეცადეთ მოულობით გული.
თუ ბრძანა „მე მსურს!“ უნდა იქნას შესრულებული.

გ რ ა ფ ი

მოვალეობა მე ღირსებას დავუმორჩილე
და ვფიქრობ, უნდა მეპატიოს ურჩობა მცირე.
დანაშაული, უმძიმესიც იყოს თუ გნებავთ,
განა დაჩრდილავს ჩემს უდიდეს დამსახურებას?

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

მეფის წინაშე ფასუდები ღვაწლიც რომ გქონდეთ,
ვალში არ რჩება სულ ერთია ის არასოდეს.
გეყოფათ კვებნა, ის ჯობია — გახსოვდეთ მარად,
რომ მეფისადმი სამსახური ყველას გვდევს ვალად.
თქვენ ამ იმედით ბოლოს საქმე წაგივათ ცუდად.

გ რ ა ფ ი

მე საკუთარი თვალით ნახულს ვიჭერებ მუდამ.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

იფიქრეთ: მალე მეფის რისხვა თავს დაგატყდებათ.

გ რ ა ფ ი

ასე ადვილად ჩემი ბედი არ გადაწყდება.
ვიცი, სიკვდილით დავისჯები, მეფეს თუ ნებავს.
და მაშინ მთელი სახელმწიფო დაილუპება.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

ხელმწიფის შიშით თქვენი გული ნუთუ არ კრთება!

გ რ ა ფ ი

კვერთხს თუ მომიღერს, მყის ხელიდან გაუვარდება.
მე მას ვჭირდები, არ გამწირავს, ღვაწლს დამიფასებს,
თავს თუ წამაცლის, არ შერჩება ვვირგვინი თავზე.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

ნუ ფიცხობთ, გრაფო, ჯობს დამშვიდდეთ, მიიღოთ რჩევა.

გ რ ა ფ ი

მადლობელი ვარ, ქედის მოხრა არა მაქვს ჩვევად.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

მაშ, რა გადავცე, ხელმწიფესთან რას დამაბარებთ?

— გ რ ა ფ ი

იმას, რომ ვინც მე დამამცირებს, არ გავახარებ.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

გახსოვდეთ: მეფეს განჩინების შეცვლა არ უყვარს.

გ რ ა ფ ი

მე გადავწყვიტე და ამაზე მოვრჩეთ საუბარს.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

მშვიდობით, თუმცა რომ გირჩიოთ, არ მთვლით მე ღირსად,
გვირგვინოსანსაც ეშინოდეს უნდა მეხისა.

გ რ ა ფ ი

არ მეშინია, მზად ვარ.

დ ო ნ ა რ ი ა ს ი

და არც ავტდებათ, ვიცი.

გ რ ა ფ ი

სამაგიეროდ დონ დიეგო მოიწმენდს სირცხვილს.

(მარტო)

ვისაც სიკვდილიც ვერ აშინებს, მუქარით დაფრთხეს?!
ჩემს სულს ყველაზე საშინელი რისხვაც ვერ გასტეხს.
ბედნიერება თუნდ ნურასდროს ნუ მეღირსება,
მაგრამ მზადა ვარ, რომ შევწიროთ თავი ღირსებას.

გაგონსვლა მერაბი

დონ როდრიგო, გრაფი

დონ როდრიგო

სიტყვა მაქვს, გრაფო.

გრაფი

გისმენ.

დონ როდრიგო

ჩუმად მსურს საუბარი.

ხომ კარგად იცნობ დონ დიეგოს?

გრაფი

ვიცი, ვინც არის.

დონ როდრიგო

კეთილი. იცი, რომ ის არის მოხუცი ქველი?

რომ თავის დროზე გმირი იყო ქედმოუხრელი?

გრაფი

შესაძლო არის.

დონ როდრიგო

ჩემს თვალში რომ ცეცხლი ანთია,

მისი სისხლია.

გრაფი

მერე ჩემგან რაღა გწადია?

დონ როდრიგო

გთხოვ, ორ ნაბიჯზე გამოიყვე და მაშინ მიხედები.

გრაფი

შკვებარა, ბალო.

დონ როდრიგო

ფუჭი არის შენი სიტყვები.

დიახ, ბაღლი ვარ, მართალია, გახსოვდეს ისიც, რაა ასაკი, თუკი მიდულს რაინდის სისხლი.

გრაფი

თავს ვით მიყადრებ! როდის გახდი ეგრე ფიცხელი? შენ ხომ აქამდე არ გიხლია ხმლისათვის ხელი?

დონ როდრიგო

ჩემებრ ჩაუქებს არ სჭირდებათ ორჯერ ჩვენება — მზე მეტოქისა ერთი დარტყმით ჩაესვენება.

გრაფი

იცი, ვინა ვარ?

დონ როდრიგო

დიახ, ვიცი, რატომაც არა.

თავზარდამცემად მარტო შენი სახელი კმარა.

შუბლს რომ გიმშვენებს, იმ გვირგვინზე წარწერილს ვხედავ, რომ მე დაღუპვა გარდუვალი მარგუნა ბედმა.

მე ხმალში ვიწვევ იმას, ვინაც მარად იმარჯვებს.

მამაცი გული ამ ბრძოლაში მკლავს გამიკაყებს.

ყველაფერს შევძლებ, რადგან მამას ვუდგავარ მცველად.

ვინაც ვერ ძლიეს, — უძლეველი არ არის ყველა.

გრაფი

შენი მხნე გული, მაგ სიტყვებში რომ ვხედავ ცხადად, მულამ, ყოველთვის შენი თვალის სარკეში ჩანდა.

და რადგან შენში კასტილიის დიდებას ვპვრეტდი,

ჩემი ასული გულით მსურდა მომეცა შენთვის.

გიყვარს ხომენა — მე ეს ვიცი და მიხარია,

რომ ვერ გძლევს ტრფობა და სურვილი შენი მყარია,

რომ შურისგება მივაჩნია უწმიდეს ვალად.
მე მხიბლავს შენი მამაცობა, არ დაგიმალავ.
შენებრ რაინდი უნდა იყოს ხიმენას ქმარი.
ახლა ვრწმუნდები, არჩევანი არ იყო მცდარი.
გაქებ და თანაც სიბრალულის ცეცხლი მედება —
ეგ სიკაბუჯე სამარისთვის არ მემეტება.
თავს ნუ წააგებ — გირჩევნია ხმალის ჩაგება.
უთანასწორო ბრძოლით მკლავი შემებლალება.
ეს გამარჯვება მე არაფრად არა მჭირდება,
იოლია და არ შემმატებს იგი დიდებას.
შენს დამარცხებას, ვიცი, ხალხი ჩამიდებს არად
და შენი მოკვლა სანანებლად დამრჩება მარად.

დონ როდრიგო

გებრალეები და მიზნისაკენ გზას მიტომ მიხზობ?
მართმევ ღირსებას და სიცოცხლის წართმევას შიშობ?

გრაფი

გასწი, გამშორდი.

დონ როდრიგო

ნუ აყოვნებ, უსიტყვოდ წამო.

გრაფი

მოგბეზრდა თავი?

დონ როდრიგო

შენ კი ტყავის შერჩენას ლამობ?

გრაფი

მომყე, რადგანაც გული რისხვით ავივსო ვალმა,
შერცხვენისაგან შვილმა უნდა დაიხსნას მამა.

გამოსვლა მესამე

ინფანტა, ლეონორა, ხიმენა

ინფანტა

დაცხრი ხიმენა, ვინ გადარჩა ქვეყნად უვნებლად,
გულს ნუ გაიტეხ, მხნედ დაუხვდი უბედურებას.
კრიგალი მალე გადაივლის, დადგება დარი.
ხედნიერებას შენსას ფარავს ღრუბელი მკრთალი.
კოტა ხნის შემდეგ იმ ღრუბელსაც გაფანტავს ქარი.

ხიმენა

სომიკვდა გული და იმედი არსაით არის.
შლეაზე მძვინვარებს ქარიშხალი მოულოდნელი,
მქუხარებს ზვირთი და დაღუპვა ხომალდს მოელის.
მე ნაპირზევე უღმობელმა ტალღამ დამფარა,
წამართვა სატრფო, ქორწინებით არ გამახარა.
მგზნებარე ტრფობას გვიწონებდა ორივე მამა —
ხომ გახსოვთ, რარიგ გატაცებით ვყვებოდი ამას?
თურმე იმ წუთში წაიჩხუბნენ უსასტიკესად —
იმედის ნაცვლად მომენიჭა ოხვრა და კენესა.
ო, დაწყევლილო ქედმაღლობავ, ამპარტავნობავ,
თვით დიდებულთა არ გჩვევია თურმე დანდობა.
ოი, ღირსებავ, რად ჩამიქრე სხივთა კამარა,
რატომ დამტოვე ოხვრისა და ცრემლის ამარა.

ინფანტა

შენ მათი ჩხუბი ნუ გაშინებს, ნუ გავალალებს,
უცებ იფეთქა და გჯეროდეს, დაცხრება მალე.
სითქმა-მოთქმასა და ჭორებს რომ მოეღოს ბოლო,
მამაჩემს უნდა შეარიგოს ისინი, ხოლო
მე შეუძლებელს შევძლებ, რათა შენ გაგახარო,
მინდა დაგიშრო კაეშნისა და ცრემლის წყარო.

ხ ი მ ე ნ ა

აქ შერიგება არ ეგების, ამო არის:
ამ დამცირების გადატანა არ ძალუძს არვის.
არ დათმობს ორი მოსისხლე და მძვინვარე მტერი —
ეს მხოლოდ ფუჭი იმედია, სხვა არაფერი.
გულს მძაფრი ზიზღი თუმცა ჯერ არ გაუშვლია,
ფარული ცეცხლი ხომ კოცონზე უფრო მწველია.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

როცა ნახვენი როდრიგოს და ხიმენას კავშირს,
მამების მტრობა უეჭველად გაქრება მაშინ.
შურისძიება შეიქმნება ტრფობის მორჩილი,
შულს სამუდამოდ გააქარწყლებს თქვენი ქორწილი.

ხ ი მ ე ნ ა

მაგრამ ეგ მხოლოდ ოცნებაა — მე გული მიგრძნობს;
დიეგო მეტად ამაყია. მამას ხომ ვიცნობ.
მინდა შევწყვიტო, შევიკავო ცრემლების ღვარი;
წარსულზე ვლელავ, მომავალი საშიში არის.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

ნუ გეშინია — მოხუცს ძალა აბა სადა აქვს!

ხ ი მ ე ნ ა

როდრიგოს ერჩის გული.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მეტად ახალგაზრდაა.

ხ ი მ ე ნ ა

გულადობა ხომ გაჩენიდან დაჰყვება ვაჟკაცს.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მაინც არ მესმის, რა გაფიქრებს, საეჭვო რა გაქვს.
მას შეაკავებს შენი ტრფობა ესოდენ ნაზი
და შევიძლია ორი სიტყვით დაუცხრო ბრაზი.

ხ ი მ ე ნ ა

თუ გაჯიუტდა, ამევსება გული ნალველით,
თუ ნებას დამყვა, გაუტყდება მაშინ სახელი.
თავს არ შეირცხვენს — რაინდია კეთილშობილი.
დამლევს, თუ არა სიყვარული გულში წრთობილი,
გინდ მიერთგულოს, გინდ ტრფობაზე აიღოს ხელი —
მაინც სირცხვილი, დამცირება და ტანჯვა მელის.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

კვლავ ამაყია, თუმცა ხვედრი მოელის მკაცრი —
ხიმენასათვის უცხო არის მდაბალი აზრი.
ვიდრე მათ შორის სასურველ ზავს არ ჩამოვაგდებ,
მანამ როდრიგოს საკუთარ ტყვედ გამოვაცხადებ —
მის მამაცობას ასპარეზი აღარ ექნება.
ხომ არ დამძრახავ ამისათვის, ხომ მომცემ ნებას?

ხ ი მ ე ნ ა

პირიქით, მაშინ მელირსება ნამდვილი შვება.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ა ო ო თ ხ ი

ი ნ ფ ა ნ ტ ა, ხ ი მ ე ნ ა, ლ ე ო ნ ო რ ა, პ ა ე ი

ი ნ ფ ა ნ ტ ა

პაეო, როდრიგოს აქ მოყვანა სასწრაფოდ მნებავს.

პ ა ე ი

გრაფი ვორმესი და ის...

ხ ი მ ე ნ ა

ღმერთო, გული რად შეკრთა!

ი ნ ფ ა ნ ტ ა

რა მოუვიდათ?

პაუი
სასახლიდან გავიდნენ ერთად.

ხიმენა

მარტონი იყენენ?

პაუი

ღიახ. ჩუმად დაობდნენ, მგონი.

ხიმენა

ხმალში გაწვევას უეჭველად არჩევდა ორნივ.
მოვრჩეთ საუბარს, მაპატიეთ ეს აჩქარება.

გამოცვლა მესუთი

ინფანტა, ლეონორა

ინფანტა

ო, სატანჯველო, მწუხარებავ, ოი, ვაებავ!
თუმცა ხიმენას უბედობამ მატკინა გული,
მისი სატრფოთი მე უზომოდ ვარ მოხიბლული.
ვატყობ, რომ ისევ მომერია, დამძლია გრძნობამ,
სულის სიმწვიდვად დამეკარგა, გაცოცხლდა ტრფობა.
ვიცი, ხიმენა და როდრიგო განშორდებიან —
იმედი აღსდგა, მწუხარება კვლავ მომდებია.
თუმცა მალონებს მიჯნურების შავბნელი ბედი,
მაინც ფარული სიხარულით მიღელავს მკერდი.

ლეონორა

ნუთუ, ძვირფასო ქალბატონო, თქვენს ბრწყინვალეობას
არ შესწევს ძალა გაუმკლავდეს საძრახის ვნებას?

ინფანტა

ო, ნუ უწოდებ მას საძრახისს, ვერ შევძელ ძლევა,
დამიმორჩილა, დამეუფლა და მისი ტყვე ვარ.

რადგან ის ჩემთვის ძვირფასია, მოეპყარ რილით.
ღირსება არ თმობს, იმედს მაინც ვერ ფარავს ბინდი,
და მისი შუქი სანეტარო გულს ისევ ათბობს,
სატრფოსკენ ვილტვი, რადგან იგი დაჰკარგა სატრფომ.

ლეონორა

მამ ასე, უკვე აღარ სუფევს ამაყი სული,
სასაცლოდ გრძნობამ მოიპოვა მეფობა სრული?

ინფანტა

გონებას არვინ არ უჯერებს მაშინ სრულიად,
როდესაც გული ეგზომ ტკბილად მოშხამულია.
და თუ ავადმყოფს შეუყვარდა თავისი სნება,
არ დაღვეს წამალს; ჯიუტობს და ტკივილით ტკბება.

ლეონორა

ტკივილს მიიჩნევთ ნეტარებად იმედით მტკბარი,
მაგრამ როდრიგო თქვენი ტრფობის ღირსი არ არის.

ინფანტა

არ ვიცი ვანა? მაგრამ გრძნობას ღირსება ვერ კლავს,
გულს მოუსმინე, სიყვარულით როგორა ფეთქავს.
როდრიგომ ხმალში დიდ გმირს თავი თუ გაუტოლა,
თუ ეს მძაფრი და სასახლო მოიგო ბრძოლა.
ნება მექნება ვუწოდებდვ მიჯნურს შესაფერს —
ვინც გრადს ბრძოლაში დაამარცხებს შესძლებს ყველაფერს.
ეს გამარჯვება სწორუბოვარ რაინდად გახდის —
ოცნებით ვხედავ, რომ მორჩილებს მას ყველა ტახტი.
მისმა ტრფიალმა მე ისეთი მადლი მომბერა,
რომ მეჩვენება ის გრენადის ტახტის მფლობელად.
თი მარები მუხლს იდრეკენ შიშით და რილით,
და არავინსაც მოევლინა დამპყრობი დიდი.
პორტუგალიის ძლიერებას ბოლო ედება,
როდრიგოს მახვილს ვერ გაუძღეს ზღვის გაღმელებმაც.

მისი გვირგვინი აფრიკელთა სისხლმა შეღება,
მისი გმირობით ჩემს სინარულს კარი ეღება,
უნეტარესი, სანუკვარი მატკობზ ფიქრები,
რომ უძლეველი გმირთა გმირის სატრფო ვიქნები.

ღ ე ო ნ ო რ ა

რარიგ წარმტაცი ოცნებაა, რარიგ ცხოველი,
მაგრამ ვინ იცის, იქნებ ბრძოლა არც კი მოელის.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

გრაფის მხრით მამის დამცილება როდრიგოს ტანჯავს.
ერთად წავიდნენ — მამს საეჭვო აქ რალა დარჩა.

ღ ე ო ნ ო რ ა

ასეც რომ მოხდეს, იქნებ დაგრჩეთ ბოლოს ქადილად,
რომ გრაფს როდრიგო დაამარცხებს ხმალში ნამდვილად.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

გონებას ვკარგავ და გონივრულს ჩემგან რას ელი?
ხომ ხედავ, ტრფობამ უღმობელად დამრია ხელი.
წავიდეთ, წამო, შენთან ყოფნით გულს ეფონება,
მწუხარებაში ჩემთან იყავ განუშორებლად.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი მ ა მ ვ ს ა

ღ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო, დ ო ნ ა რ ი ა ს ი, დ ო ნ ს ა ნ ჩ ო

ღ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

კადნიერება აგრე რიგად გრაფს არ ჩაუვლის
და ნუ ჰგონია ვაპატიო დანაშაული.

ღ ო ნ ა რ ი ა ს ი

თქვენი სახელით მე მას ბევრი ველაპარაკე,
ამოდ დავშვრი, საქმეს მაინც ვერა რა ვარგე.

ღ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

ო, დამერთო, ნუთუ ისე სჯერა თავის თავისა,
რომ ჩემი ნების შესრულება იუკადრისა.
მს შეურაცხყოფს დონ დიეგოს, მე არ მცემს პატივს,
და დანაშაულს სასახლეში აშკარად სჩადის.
დღარ მიეხედავ მის გმირობას, მამაც სარდლობას.
ბოლოს მოვუღებ, არ შევარჩენ ამპარტავნობას.
გარდიქმნეს მეხად, ომის ღმერთად გადიქცეს თუნდა,
მე მას ვუხვევებ, ჯიუტობა თუ როგორ უნდა.
თუმცა თავის თავს მეტისმეტი მისცა უფლება,
მამის მე მისი დატოვება მსურდა უვნებლად;
მაგრამ რადგანაც ჯიუტობა არ დაიშალა,
ბრძანებ შეიპყრონ, თუ იურჩებს, იხმარონ ძალა.

ღ ო ნ ს ა ნ ჩ ო

იგებ სულ მალე ვნახოთ გრაფი დამშვიდებული, —
ის ჩხების შემდეგ იყო ძლიერ განრისხებული.
ცხელ გულზე კაცი ჯიუტია, ადვილად არ თმობს,
გრძნობს დანაშაულს, შეიძლება კიდევაც დარდობს.
მაგრამ კერპია და ამიტომ ადრე არ ტყდება,
დანაშაულის უძნელდება აღიარება.

ღ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

დაჩუქდით, სანჩო, აბა როგორ ვერ ხვდებით, მიკვირს,
ცინც მას ემხრობა, თვითონ მეფეს ღალატობს იგი.

ღ ო ნ ს ა ნ ჩ ო

გემორჩილებით, მაპატიეთ. თუ მომცემთ ნებას
გამოვესარჩლო...

ღ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო

ამის შემდეგ რისი თქმა გნებავთ?

ამაყი სული, შეჩვეული მხოლოდ დიდებას
 ბოდის მოხდას დაურცხვენლად ვერ ურიგდება.
 რაკი ღირსება შეუღახეს, მგონი ცხადია,
 შებრძოლებაზე უარის თქმა არა სწადია.
 თქვენი ბრძანება ალბათ მკაცრი ეჩვენა მეტად,
 თან სიამაყეც რომ არ სძლევედეს, არ იურჩებდა.
 ბრძანეთ, მეფეო, მოიხადოს რაინდის ვალი —
 გამოისყიდოს შეცოდება ნაქები ხმალით.
 მაშინ დაცხრება, თუ არა და მე თვით დავცხდები —
 ვინც უნდა იყოს, მის მაგიერ გავუმკლავდები.

დონ ფერნანდო

არ გიჯავრდებით, თუმც აჭარბებთ, სანჩო ძალიან!
 თქვენი სიფიცხე ჭაბუკური სისხლის ბრალია.
 მე საზრუნავი ათასგვარი სხვაც მელოდება —
 ქვეშევრდომთ სისხლი მირჩევნია ყველა ქონებას.
 მე მათზე ვფიქრობ დღე და ღამე, მათ ტკივილს ვკურნავ
 და ვზრუნავ ისე, როგორც თავი სხეულზე ზრუნავს.
 ჩვენი აზრები შეთანხმებას ვერ იფერებენ:
 თქვენ მსჯელობთ როგორც ჯარისკაცი, მე — როგორც მეფე.
 რომ შეასრულოს უყოყმანოდ ჩემი ბრძანება,
 გრაფის ღირსება ოდნავაც არ შეიბღალება.
 ჯერ ერთი, მეც ხომ ჩირქი მომცხო წარუხოცელი,
 ტახტის მემკვიდრის აღმზარდელზე რომ აღმართა ხელი.
 როცა ჩემს რჩეულს გრაფმა სილა გააწნა, მაშინ
 მეც, ჩემი ტახტიც — გაგვიწვია ორივე ხმალში.
 მოვრჩეთ ლაპარაკს. ძველთაძველმა მტერმა ტიალმა,
 მაცნობეს, დროშა ხომალდებზე ააფრიალა.
 ზღვიდან შემოსულს მდინარეში, მოეჩქარება.

კარგად იციან თქვენი მკლავის ძალა მავრებმა,
 ხევერცხვრ დამარცხდნენ და იმედი დაჰკარგეს კიდეც, —
 თქვენს წინააღმდეგ გალაშქრებას ბედავენ კიდეც?

დონ ფერნანდო

ჩემს ტახტს უღრენენ, შურის ცეცხლი არ დაუვსიათ —
 რად მორჩილებსო კასტილიას ანდალუზია.
 წარმტაცი მხარე რომ წაერთვი, გულზე სკდებიან
 და მის დაკარგვას ვერაფრით ვერ ურიგდებიან.
 კარგა ხანია, უკვე წელი გავიდა ათი,
 სველილიაში რომ აღემართე სვიანი ტახტი,
 რათა მავრებთან ახლოს ვიყო, ვადევნო თვალი,
 ელვისებურად უკუვაგლო უძლევი ხმალით.

დონ არიასი

მათ დამარცხების მწარე ხვედრი იგემეს ხშირად,
 კოველი თქვენი გამარჯვება უჯდებათ ძვირად.
 საშიში რა გაქვთ?

დონ ფერნანდო

ფხიზლად ყოფნაც გამირთა წესია.
 უდარდებლობა ზოგჯერ მტერზე უარესია;
 და არ იქნება სრულიადაც გასათვარი
 მდინარეს მოჰყვეს და მოგვადგეს კარზე მტრის ჯარი.
 მაგრამ მე ხალხის შემფოთება მანამდე არ მსურს,
 ვიდრე ბეჯითად არ მივიღებ ამ ამბის დასტურს.
 საფრთხე განვსაჯოთ, შევამოწმოთ ყოველმხრივ კარგად,
 დამით ქალაქში უმიზეზოდ ნუ ავტეხთ განგაშს.
 სიმავრეებზეც, მდინარეზეც — ორმაგი მცველი.
 ჯერ ეს ვიკმართო.

გამოსვლა მუხვიდ

დონ ფერნანდო, დონ ალონსო, დონ სანჩო

დონ ალონსო

დიდო მეფე, როდრიგოს ხელით
დაეცა გრაფი. შვილმა მამის იძია შური.

დონ ფერნანდო

ამას ვშიშობდი. არ მიხედეს ჩემს კეთილ სურვილს,
მსურდა როგორმე ამეცდინა შურისძიება.

დონ სანჩო

ხიმენა მოდის. გულმოკლული ცრემლებად დნება.
ითხოვს სამართალს, შურისგების წყურვილი ტანჯავს.

დონ ფერნანდო

თუმც ძლიერ ვწუხვარ, ვერ შევისმენ ხიმენას აჯას,
სამართლიანად მიმაჩნია მე გრაფის დასჯა.
უხეში იყო, შეცოდება არ აღიარა
და სასიკვდილო ეკუთვნოდა კიდევ იარა.
მაინცა ვნანობ, გული მტკივა მისი დაკარგვით,
ქვეყნის წინაშე მიუძლოდა დიდი ამაგი.
ბოლოს ურჩობა, ჯიუტობა თუმც გამიბედა,
უმისოდ ძალა მომაკლდა და შემიპყრო სევდამ.

გამოსვლა მერვე

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, ხიმენა, დონ სანჩო,
დონ არიასი, დონ ალონსო

ხიმენა

მსჯავრი მეფეო!

დონ დიეგო

გთხოვთ, განსაჯოთ ბრძნული გონებით.

ხიმენა

სისხლს ვიდრეც მდაბლად.

დონ დიეგო

მუნღზე მდაბლად გეამბორებთ.

ხიმენა

სამართალს ვითხოვ.

დონ დიეგო

და პასუხიც მე მაქისრია.

ხიმენა

შლეგი ჰაბუკი საკადრისი დასჯის ღირსია.
მას დასცა ბურჯი, ტახტს სიმკვიდრე წაართვა სრული.
მომიკლა მამა.

დონ დიეგო

მამისათვის იძია შური.

ხიმენა

სისხლის დამღვრელი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

დონ დიეგო

სამართლიანი შურისგება არ იმკის სასჯელს.

დონ ფერნანდო

ადეკით ორნივ. ყოველივე განვსაჯოთ მშვიდად.
ხიმენა, გულით თანაგიგრძნობთ და ვწუხვარ დიდად.
მწარე ნაღველი მეც დამაწვა უმძიმეს ტვირთად.
(დონ დიეგოს)

ოკენ შემდეგ იტყვით, ჯერ ხიმენას ვუსმინო მინდა.

ხიმენა

მამა მომიკლეს ხელმწიფეო, მიმუხთლა ბედმა...
ვიხილე სისხლი, მკერდიდან რომ ნაკადად ჩქეფდა,

სისხლი, დღემუდამ სიმაგრეთა მცველი რომ იყო,
სისხლი, რომელმაც უამრავი ბრძოლა მოიგო.
სისხლი, რომელიც აზობოქრდა და ისვრის შეხვევებს,
რადგან შემთხვევას შეეწირა და არა მეფეს.
სისხლი, რომელიც თვით სიკვდილსაც თელიდა აღარად,
შლეგმა როდრიგომ სასახლეში — თქვენს წინ დაღვარა.
სულმოუთქმელად მივირბინე, ვერ მივუსწარი,
გვიანლა იყო და მე მამა ვიხილე მკვდარი.
არ შემწევს ძალა, აბატიეთ ჩემს მწუხარებას,
ცრემლებმა გითხრან დანარჩენი, ენა დამება.

დონ ფერნანდო

დამშვიდდი, შვილო, მწუხარებას დახედი თამამად,
ამიერიდან შეგიძლია მიგულო მამად.

ხიმენა

დიდი პატივი უბედობამ მარგუნა თქვენგან.
იმას ვამბობდი, როცა ვნახე, სული არ ედგა.
საბრალო მამის კრილობიდან გამონაყური,
სისხლი ქვიშაზე წერდა — შვილო, იძიე შური!
სამართალიო, ეს ძახილი ყურში რომ რეკდა,
მართლმსაჯულების გამგებლისკენ მომაჩქარებდა,
რომ შვილის პირით განაჩენი ეთხოვა მამას.
თქვენს სამეფოში, მეფეე, განა მოითმენთ ამას?
თავაშვებული, ავზნიანი, მხეცი ხმლიანი
ბედავს, რომ მოჰკლას დიდებული ადამიანი,
ლამობს დაჩრდილოს კაცი გმირი, დარბაისელი,
შეარცხენოს და დაიბანოს მის სისხლში ხელი.
თუ არ დასაჯეთ საგანგებოდ თავხედი მკვლელი,
ტახტის მსახურთა ერთგულების დაკარგვა გელით.
იმიტომ ვითხოვ დაისაჯოს მკვლელი უხეში,
რომ უფრო თქვენი სიკეთე მსურს, ვიდრე ნუგეში.
ჩემი მამა ხომ იყო თქვენი მარჯვენა ხელი.

სისხლი სისხლის წილ! მოკვდინების ღირსია მკვლელი.
შესწირეთ იგი მე კი არა, ტახტსა და გვირგვინს,
თქვენს ბრწყინვალეებას და დიდებას შესწირეთ იგი.
ჩვენს ძლევაშობილ სახელმწიფოს მსხვერპლად სჭირდება,
ვისც ვერაგული შეტაკებით ეძებს დიდებას.

დონ ფერნანდო

რას უბასუხებთ, დონ დიეგო?

დონ დიეგო

საბრალო არის

მებრძოლი, როცა უძღურდება, ჯობს იყოს მკვდარი.
კაცო სწირავს ბედი, როს ქვეყნიდან გვიან მიდიან!
თუ მე თუნდაც, ვისი ღვაწლიც ეგზომ დიდი,
მე, ვისი ხმალიც ომში იყო მუდამ ქებული,
ახლა მიხრწნილი, მოტეხილი, მოხუცებული,
იმას მოვესწარ, რომ შელახეს ჩემი ღირსება,
ის რაც ვერ შესძლეს თავდამსხმელთა იერიშებმა,
რასაც თქვენი და ჩემი მტერიც ვერ იქმდა, მგონი,
რასაც ვერ იქმდა ვერც გრენადა და არაგონი,
ის შეძლო გრაფმა სასახლეში დღისით და მზისით,
რადგანაც თქვენმა არჩევანმა აღანთო რისხვით.
ეს თმა, ბრძოლების ქარბუქით რომ გაჰკლარავდა;
სისხლი, რომელიც დამდენია თქვენთვის ღვარადა,
მარჯვენა, მტერთა შემზარავი; ყველა ესენი
მა ქვეყნიდან წასულიყვნენ უნდა შერცხვენით.
მაგრამ ვაჟკაცმა ვაჟიშვილმა არ გამიმეტა —
მეფის და ქვეყნის სიამაყემ, მამის იმედმა
ორთა ბრძოლაში ქედმაღალი განგმირა გრაფი,
ახსნა ღირსება, სამარცხენო მომწმინდა ლაფი.
გმირი ვაჟკაცი, შებღალული მამის დამცველი,
ხელთ ღირსია მოიხადოს მკაცრი სასჯელი!
თუ ასე არის, დე ჯალათმა ჯვარზედაც მაგოს, —
მკლავი რომ სკოდავს, თავმა უნდა პასუხი აგოს.

არის თუ არა დამნაშავე — თქვენზეა მსჯავრი,
ოლონდ, მეფეო, თავი მე ვარ, ის მკლავი არის.
ხიმენა ცდება, არ მიუძღვის როდრიგოს ბრალი,
ჩემი გულისთვის მოჰკლა გრაფი, მე მიადევს ვალი.
მომკვეთეთ თავი, სულ ერთია მალე მოვკვდები,
გადარჩეს მკლავი, ვაგახაროთ მტერთა ოტებით.
ჩემმა სიკვდილმა დაამწვინა ხიმენას გული,
მე ასეთ ხვედრთან ვარ წინასწარ შერიგებული.
განაჩენს ველი, არაფერი სხვა აღარ მინდა,
რაკი ღირსება აღვიღვინე, მოვკვდები მშვიდად.

დონ ფერნანდო

ნუ ავჩქარდებით, განა დინჯი მსჯელობა არ ჯობს?
საჭირო არის განიხილოს ეს საქმე საბჭომ.
დონ სანჩო, გთხოვთ, რომ გააცილოთ ხიმენა სახლში,
თქვენ ჩემი ტყვე ხართ, დონ დიეგო, და აქვე დარჩით.
ვბრძანებ, როდრიგო აქ მომგვარონ, მსურს დავლო მსჯავრი.

ხიმენა

მეფეო, მკვლეელი რომ აცოცხლოთ, მე მომკლავს ჯავრი.

დონ ფერნანდო

ასულო ჩემო, დაისვენე, შეიშრე ცრემლი.

ხიმენა

დასვენებაა სწორედ მეტი წამების მგვრელი.

მოქმედება მესამე

გამოსვლა პირველი

დონ როდრიგო, ელვირა

ელვირა

როდრიგო, შენა? უბედურო აქ მოსვლას ბედავ?

დონ როდრიგო

სხვა გზა არა მაქვს, მომასწავლა გზა შავმა ბედმა.

ელვირა

თავხედობაა არნახული, გაუგონარი —
მოხიდე, სადაც გაამეფე გლოვა და ზარი.
გრაფის აჩრდილი დაცინვისა არ არის ღირსი,
შენ მოჰკალ იგი.

დონ როდრიგო

შემარცხვენდა სიცოცხლე მისი.

ჩემმა ღირსებამ მკლავს უბრძანა: — მარჯვედ დაჰკარი!

ელვირა

მთავლის სახლში გინდა ჰპოვო თავშესაფარი?
მის ჰერქვეშ დგახარ, ვისაც შენვე მოუღე ბოლო?

დონ როდრიგო

მე აქ სასჯელის მისაღებად მოვედი მხოლოდ.
მისთვის გაოცდნენ, რად შეშინდნენ შენი თვალები:

გრაფი დავსაჯე, მაგრამ სასჯელს არ ვემალევი.
ჩემი ხიმენა მსაჯულია მოუსყიდველი. —
ღირსი ვარ მოვკვდე ჩემი სატრფოს ზიზლის მიმთვლელი-
ერთმა მიზანმა მომიყვანა, სხვა საქმე არ მაქვს:
განმსაჯოს ბაგემ საყვარელმა, დამსაჯოს მკლავმა.

ელვირა

ნუ დაუხვდები, გაეცალე გირჩევ ამ არეს.
ცეცხლს ცეცხლზე ნულარ დაუმატებ, ტანჯვა აკმარე.
სული მოითქვას, დამიჯერე, ერიდე-მეთქი,
თორემ წაგლეკავს რისხვა ღვარად გადმონახეთქი.

დონ როდრიგო

ო, არა, არა, რაკი სატრფო შემცქერის ზიზლით,
აწ თუნდაც მეხად თავს დამატყდეს ცა განარისნი.
თვითონ მწყურია მისი წყრომის გაორკეცება,
რომ ჩქარა მომკლას, ისე შვება არ მომეცემა.

ელვირა

ხიმენა ახლა სასახლეში ცრემლებად დნება.
მარტო წამოსვლის არ მისცემენ, ცხადია, ნებას.
იწამე ღმერთი, გთხოვ წახვიდე და განერიდო,
აქ რომ მოგისწრონ, რას იტყვიან, განსაჯე თვითონ.
ბოროტი ენა ისინინებს ისე, ვით გველი,
სახლში ჰყავდაო მიწვეული შეიღს მამის მკვლელი:
მოდის კიდევაც, ახლოვდება, შემოვა მალე,
ღვთის გულისათვის, ნუ შეარცხვენ, იქ დაიმალე.

გაგოსვლა მითრა

დონ სანჩო, ხიმენა, ელვირა

დონ სანჩო

თქვენ სისხლიანი შურისგება დაგაწვით ტვირთად.
სამართლიანი არის წყრომა, გლოვა კი — წმიდა.

ვერ განუგეშებთ, ქალბატონო, ვერ მოგწმენდთ ცრემლებს,
მაგრამ ეს მკლავი და ეს ხმალი დაგჭირდეთ ეგებ.
თქვენი მორჩილი მიმსახურეთ როგორცა გნებავთ,
მე შემიძლია საკადრისი შურისმიგება,
ტრფობა მიშველის, რომ დავძლიო დაუძლეველიც,
მზად ვარ დავსაჯო დამნაშავე, თქვენს პასუხს ველი.

ხიმენა

უბედური ვარ!

დონ სანჩო

გთხოვთ, მიბრძანოთ, მე თვითონ დავსჯი.

ხიმენა

ამით ხომ მსაჯულს შეურაცხვეყოფ — ჩვენ მეფე განგვსჯის.

დონ სანჩო

მაგრამ სამსჯავრო როდი ჩქარობს, მოქმედებს ნელა
და უნებლიედ დამნაშავეს უდგება მცველად.
ღრო ნაღველს ფანტავს, შურისგების ანელს წყურვილს,
ნულარ აყოვნებთ, ჩემი ხმალით იძიეთ შური.
ეს გზა სანდოა, თანაც მოკლე, ნუ გეფიქრებათ.

ხიმენა

მე მას მივმართავ, როცა სხვა გზა აღარ იქნება.
და თუ მანამდე არ ჩაქრება ეგ თქვენი გზნება,
მამინ, დონ სანჩო, შურისგების მიიღებთ ნებას.

დონ სანჩო

ამნაირ ბედს თუ ვეწეოდი, ვერ ვიფიქრებდი,
გახარებული მივდივარ და მიმაქვს იმედი.

გამოსვლა მისამდე

ხიმენა, ელვირა

ხიმენა

ძლივს მარტო დავრჩით, შემოდლია გაგისხნა გული,
თამამად გითხრა, როგორ მეწვის და მტკივა წყლული.
ოხვრას არ ვმალავ, როცა ვრჩები მე შენს ამარად,
ხმამალა ვკენესი, არ ვიკავებ ცრემლის კამარას.
როდრიგომ მოჰკლა მამაჩემი. პირველი ხმალი
მას მოუქნია, მომიკიდა უქრობი ალი.
ჩემო ცრემლებო, თვალებიდან დელგმად დაეშვით,
ჩემი სიცოცხლის ნახევარი წევს სამარეში,
ხოლო მეორე ნახევარი ცოცხალი რჩება
და ის მავალებს მამისათვის შურისძიებას.

ელვირა

გთხოვთ დაისვენოთ, ქალბატონო.

ხიმენა

რა დროს ეგ არის,
როცა დამატყდა თავს ვაება რისხვით მკეჭარი.
სად ვპოვო შეება, არ მეშვება განგება ავი
და მე არ ძალმიძს დამნაშავეის დავწყევლო მკლავი.
ყოველი წუთი კაეშანს და ნაღველს მპირდება,
კიდევაც ვდეენი დამნაშავეს, მიყვარს კიდევაც.

ელვირა

მამის მკვლელს ეტრფით? გრძნობას ასე როგორ დანებდით?

ხიმენა

რა ვქნა, ელვირა, კი არ მიყვარს — ვეთაყვანები.
შურისძიებას ეტოკება მხურვალე ვნება,
სატრფო მტერია, მაგრამ მაინც სატრფოდვე რჩება.
გრძნობა ჯიუტობს და იბრძვიან ტანჯვა და ლხენა,

მე გულში ვხედავ მამაჩემთან როდრიგოს რკენას.
ხან მარჯვედ უტევს, ავიწროებს, ხანაც თავს იცავს,
უმტყუნა მკლავმა, მაგრამ ისევ უძლევლად იქცა.
დაუნდობელმა საშინელმა ამ ორთა ბრძოლამ
დაფლითა გული, მაგრამ სული ვერ გაჰყო ორად.
ტრფობა ვერ შესძლებს ვერასოდეს გულის მძლეობას,
ვერ დამავიწყებს შურისმგებლის მოვალეობას.
გზას არ ავცდები, მიზნისაკენ პირდაპირ ვივლი,
თუმც როდრიგოსთან მე მაერთებს ოცნება ტკბილი
და მიყვარს ძლიერ, უწყის თვითონ მაღალმა ცამა, —
ვიცი, ვინცა ვარ და ვიცი, რომ მომიკლა მამა.

ელვირა

თქვენ გინდათ იგი დაისაჯოს?

ხიმენა

საშინელება!

უნდა გავეწირო, თვით განგებას ასე ენება.
მსურს მოაკვდინონ, თუმც ამაზე ფიქრიც კი მზარავს.
თან გადავყვები, დანდობა კი — არ მინდა, არა!

ელვირა

თქვენი ფიქრები ჯოჯოხეთურ აღში ევლება,
ნუ მოისურვებთ ჩაიდინოთ საშინელება.

ხიმენა

როგორ! შევეუნდო მას, ვინც თვალწინ მომიკლა მამა?
სისხლი შერჩეს და მე შორიდან ვუტკირო ამას?
აუციანი სიყვარულით ისე დავთვერი,
რომ მხოლოდ ცრემლი მემეტება, სხვა არაფერი?
ნეტოუ მაცთურმა ტრფობამ ისე ჩამკიდა ხელი,
რომ ჩემს ღირსებას გარდღევალი დაღუპვა ელის?

ელვირა

გთხოვთ, რომ ირწმუნოთ, ქალბატონო, ჩემი სიტყვები, მოიღებთ გული, სატრფოს აგრე ნუ ურისხდებით. თქვენი წყალობით ის ხომ საფრთხის მოლოდინშია, მეფე მიუზღავს პირუთვნელად, რისიც ღირსია. რისთვისღა ურჩობთ, რამ გაქციათ უღმობელ კერპად?

ხიმენა

ჩემი ღირსების დასაცავად მსურს შურისგება. მაშინაც, როცა სიყვარულის ნექტრით ივსება, ემორჩილება და გზას უთმობს გული ღირსებას.

ელვირა

მაგრამ თქვენ გიყვართ, ძლიერ გიყვართ მოპირდაპირე.

ხიმენა

უნდა გამოვტყდე, მართალია.

ელვირა

მაშ რას აპირებთ?

ხიმენა

მინდა ღირსების გადარჩენა და შვების პოვნა, მსურს ის დავღუპო, ხოლო შემდეგ მოკვდე თვითონაც.

გამოსვლა ჯეოთხე

დონ როდრიგო, ხიმენა, ელვირა

დონ როდრიგო

მაშ ასე, რაკი შურისგება გწყურიათ ცხარედ, პატრიე დამდეთ, მომისწრადეთ. სიცოცხლე ბარემ.

ხიმენა

ელვირა, მითხარ, მელანდება თუ ცხადად ვხედავ? ეს როდრიგოა? და ის ჩემთან შემოსვლას ბედავს?

დონ როდრიგო

დაღვარეთ სისხლი უღირსისა, იჯერეთ გული, ჩემი მოკვლით ხომ შურისგების მოიკლავთ წყურვილს.

ხიმენა

ახ!

დონ როდრიგო

მომისმინე!

ხიმენა

ალარ ძალმიძს.

დონ როდრიგო

მხოლოდ წუთს გართმევ.

ხიმენა

არ მაცლი სიკვდილს?

დონ როდრიგო

ორი სიტყვა! ნუ მისპობ სათქმელს, შემდეგ კი პასუხს ჩემი ხმლითვე შენგან მოველი.

ხიმენა

რომელიც მამის სისხლით არის ჯერაც სოველი!

დონ როდრიგო

ჩემო ხიმენა!

ხიმენა

საძაგელი გასწი ეგ ხმალი, ის მაგონებს, რომ ცოცხალი ხარ და გამართებს ვალი.

დონ როდრიგო

მინდა უცქირო, მინდა ზიზღით აპყრობდე თვალებს,
რომ გულში რისხვა ავიზვირთდეს და მომკლა მალე.

ხიმენა

მაგ ხმაღს ხომ ჩემი სისხლი სცხია.

დონ როდრიგო

ჩემიც წაეცხოს,
რომ ჩემმა სისხლმა შენი სისხლის კვალი წარეცხოს.

ხიმენა

უგულოვ, ერთ დღეს მოსპე ორთა სიცოცხლე ტკბილი:
მამა ხმლით მოჰკალ, ქალიშვილი — მოკლულის ხილვით —
გასწი ეგ ხმალი, მისი ხილვა თვალებს მიბნელებს.
შენ გასურს ვისმინო და ამავე ღროს მსპობ და მინელებ.

დონ როდრიგო

გემორჩილები, შევასრულებ ყველა შენს სურვილს,
ოლონდ მეღირსოს შენი ხელით დავლიო სული,
რადგანაც, ვიცი, სიყვარული ვერ დამაყისრებს
არ დავისაჯო, შეცოდება შემინდოს ისე.
იმ შეტაკების უღმობელმა, სასტიკმა წამმა
მე შემარცხვინა, შეურაცხყო მოხუცი მამა.
სილის გაწვნას ხომ ვერ აიტანს ამაყი კაცი,
შურისძიებას მავალებდა მე ბედი მკაცრი.
ვიძიე შური, შემარცხვენელი ვიპოვე ოდეს,
ამას ხელახლა ჩავიდენდი, რომ მჭირდებოდეს.
მე არ მივხედე იმ საშინელ შეურაცხყოფას,
შენს დასაცავად გულში დიდხანს იბრძოდა ტრფობა.
გინდა დარწმუნდე რა წმიდა და მძლავრია იგი?
ლამის შემთოკა, დამავიწყა წესი და რიგი.
ხან ვთმობდი, ხანაც მაცოფებდა მამის შერცხვენა.
შურისძიება ნაჩქარევი, მკაცრი მეჩვენა.

თავს ვიკიცხავდი, რომ გავბრაზდი ზომაზე მეტად
შენი შვენება უეჭველად გაიმარჯვებდა.
მაგრამ დავძლიე, სიყვარულის ცთუნებას ვგმობდი,
ეს რომ არ მექნა, შენი ღირსი არ ვიქნებოდი.
ღირსეულ კაცად, თავმოყვარედ მიცნობდი ოდით,
შერცხვენილი კი სამუდამოდ შეგძულდებოდი.
არ შემძლებოდა ტრფობისა და ვალის გარჩევა —
შეურაცხველი სულმდაბლობით მე შენს არჩევანს.
თუმც ძლიერ მიმძიმს ამ სიტყვების განმეორება,
განვიმეორებ სანამ სული არ ამომხდება.
ვიძიე შური, დიახ, ვიყავ დაუნდობელი,
რომ ვყოფილიყავ შენი ღირსი, შენი სწორიფერი.
მე აღვასრულე საკუთარი და მამის ვალი.
მოვსულვარ შენთან, რაღას უცდი, დამკარ ეს ხმალი.
დაე, იხილონ ჩემი სისხლი შენმა თვალებმა,
შევასრულე და კვლავ ვასრულებ, რაც მევალება.
მამა გეძახის, შურისგებას გავალებს იგი.
ის მე ვიმხხვერბლე, ახლა ჩემი მოვიდა რიგი.
შერცხვენისაგან მხოლოდ ჩემი განგმირვა გიხსნის,
მოჰკალ მოსისხლე, აჰა, მზად ვარ, აიღე სისხლი!

ხიმენა

ახ, თუმც მტერი ხარ, მოსისხლე ხარ, როდრიგო ჩემი,
მე საყვედურსაც აღარ ვამბობ, მღუპარედ ვრჩები.
თუმც მწარედ ვგოდებ, ცხარე ცრემლით სავსეა თვალი,
ჩემს თავს დავსტირი, შენ ამაში არა გაქვს ბრალი.
ვიცი, ღირსება მოითხოვდა მეტოქის დასჯას
და მას ვაჟკაცმა, ვაჟკაცური პასუხი გასცა.
იძიე შური, აღასრულე მშობელის ნება
და ჩემს გულშიაც გააღვივე შურისძიება.
შურისძიებამ მოუპოვა შენს მკლავს დიდება,
ეგ საქციელი მაგალითად მეც დამჭირდება.
მოგბაძავ, რადგან მეც შენსავით დიდება მწყურის
და ძლიერ მინდა მამისათვის ვიძიო შური.

ო, არ დამინდო ბედისწერამ, დამატყდა რისხვად,
ნეტავი მამა შენ კი არა, მოეკლა მტრის ხმალს,
გულს ესოდენი ჯავრით როდი დავიმძიმებდი,
შენ მიშველიდი, მექნებოდა შენი იმედი.
კაეშნის ნაცვლად შემიბყრობდა სხვაგვარი გრძნობა,
ცრემლს შემისრობდი და გასწევდი ჰირისუფლობას.
მამა დავკარგე, ახლა უნდა დავკარგო შენაც
და მე სიყვარულს ვკლავ ღირსების გადასარჩენად.
შურისმგებლობის საშინელი მოვალეობა
შენს მოსაკლავად მაქეზებს და მმატებს მხნეობას.
თვით სიყვარულიც უძღურია, არ შესწევს ძალი
შურისგებისთვის აღმართული ჩააგოს ხმალი.
თუმცა შენდამი სიყვარული მითოკავს ხელებს,
მსურს ვიყო შენებრ უშიშარი, გულადი შენებრ.
ჩემი ღირსი ხარ. ეს დამტკიცდა შურისძიებით,
მეც, როცა მოგკლავ, შენი ღირსი მაშინ ვიქნები.

დონ როდრიგო

მამ რაღას უცდი, დე აღსრულდეს, ლოდინი კმარა,
ჩემი სიცოცხლე ვალში არის, წაიღე ჩქარა,
მამას შესწირე, მინდა მოგვედ შენი მარჯვენით,
სიყვარულივით ტკბილი არის ეგ განაჩენი.
სამსჯავროს ნუღარ ელოდები, დრო გაგიცდება,
ის დააყოვნებს ჩემს დასჯასა და შენს დიდებას.
მაგ ხელით სიკვდილს წყალობად ვთვლი, განა მკვლელობად?

ხიმენა

მე ბრალს გდებ მხოლოდ, ჯალათობა არ მაქვს ხელობად.
აბა სიცოცხლეს რად მთავაზობ, მე მას არ გართმევ,
მე გიტევ, შენ კი ბრალდებისგან თავდაცვა გმართებს.
მე მამის მკვლელის დასჯას ვითხოვ, განაჩენს ვითხოვ,
სამართალს ვეძებ, მაგრამ მე ხომ არ დავსჯი თვითონ.

დონ როდრიგო

თუმც შებრალებას და დანდობას გავალებს ტრფობა,
ისწავლე ჩემგან სიმკაცრე და დაუნდობლობა.
შურისძიება თუ სხვა ვინმეს დაეკისრება,
იცოდე, მაშინ არ აღსდგება მამის ღირსება.
შეურაცხმყოფელს ჩემი ხელით ვაძგერე ხმალი,
შენც შენი ხელით მოიხადე ღირსების ვალი.

ხიმენა

უგულოვ, მამა მარტომ მოჰკალ, რისხვით აღსავსემ,
მე კი უტიფრად დახმარება შემომთავაზე.
მოგბაძვე შენვე, ბრძოლის ჰაბანს მარტოკა ვზიდავ,
შენი ზიარი გამარჯვება არაფრად მინდა,
არც შენი სისხლის, არცა ტრფობის არა მსურს შეველა,
მამის ღირსებას მე მარტოკა ვუდგავარ მცველად.

დონ როდრიგო

ამაყო სულს! გინდა დატკებ ჩემი წვალებით?
ამაოდ დავშვრი, აღარ მინდობ, არ გებრალეები?
გაფიცებ მამას, ჩვენს უზადო ტრფობას გაფიცებ,
მოილე-მეთქი მოწყალება და დამამიწე.
შენს მიჯნურს უჯობს, გული ხმალით რომ გაუგმირო,
ვიდრე ცოცხლობდეს და შენ მუდამ ზიზღით უცქირო.

ხიმენა

არ მეზიზღები!

დონ როდრიგო

შემიზიზღე!

ხიმენა

ამას ვერ შევძლებ.

დონ როდრიგო

ენამწარენი ათას რამეს იტყვიან შენზე...
უპასუხაო დამნაშავეს მან სიყვარულით.
მოგწამლავს ჭორი ხან აშკარა, ხანაც ფარული.
ჭორს ნუ აღვივებ და ღირსებას მოეპყარ რიდით, —
დამკა მახვილი, სიხარულით შევხვდები სიკვდილს.

ხიმენა

არ მოგკლავ, არ მსურს შენი სისხლის ვიყო დამღვრელი.
ვარსკვლავებამდე ამაღლდება ჩემი სახელი,
ჩემს მწუხარებას თვითონ მტერიც გაინაწილებს,
როცა შეიტყობს: მიყვარხარ და მაინც გაგწირე.
გამშორდი-მეთქი, აღარ ძალმიძს, ვერ შევძლებ, ვერა
ვუტყვირო იმას, ვისაც ვკარგავ და მიყვარს ჯერაც.
ნულარ აყოვნებ, გაეხვიე ღამის სამოსში,
იცოდე, არვინ დაგინახოს ამ მიდამოში.
თუ მოგკრეს თვალი, მაშინ ჭორებს რა გაათავებს,
ჩვენი შეხვედრა, მოთქმა-მოთქმას მისცემს სათავეს.
ცილისწამება ამაშორე, ძრახვას მარიდე.

დონ როდრიგო

სად ხარ, სიკვდილო!

ხიმენა.

წადი-მეთქი.

დონ როდრიგო

რა გადაწყვიტე?

ხიმენა

ჩემს მრისხანებას ნაწი გრძნობა ვერ ეთვისება,
შერცხვენისაგან გადავარჩენ მაშის ღირსებას
და შევეცდები შეგიწიროს მკაცრმა ბრალდებათ,
იმასაც გეტყვი, თუ გადარჩი, გამიხარდება.

დონ როდრიგო

ო, სიყვარულო სანეტარო!

ხიმენა

ველარ გშორდები!

დონ როდრიგო

ოი, მამებო, როგორ გვტანჯავთ ოხვრა-გოდებით!

ხიმენა

როდრიგო, მე ხომ არ მეგონა...

დონ როდრიგო

არც მე ხიმენა...

ხიმენა

რა ახლოს იყო, რარიგ სწრაფად წაგვეერთვა ლხენა.

დონ როდრიგო

გვეხატებოდა მომავალი წარმტაც ფერებად, —
თურმე გვემსხვრევა კარსმომღვარი ბედნიერება.

ხიმენა

ოი, წამებაე!

დონ როდრიგო

სინანული გულს ისრად ხვდება.

ხიმენა

წადი, ნუ მტანჯავ, ველარ ვუძლებ სახმილთა გზნებას.

დონ როდრიგო

შშეიღობით, ვათრევ ჩემს სიცოცხლეს უმძიმეს ბარგად,
რომ შემდეგ ჯალათს ჩავაბარო, სხვად არად ვარგა.

ხ ი მ ე ნ ა

თუ ეს აღსრულდა, თუ მოგკლავენ, როდრიგო, ვფიცავ, არც მე ვიცოცხლებ, დამეყრება მეც მაშინ მიწა. ახლა, მშვიდობით! წადი, ნურვის დაენახვები.

ე ლ ვ ი რ ა

როდესაც ღმერთი დაგვსჯის ხოლმე მწარე ნადველით...

ხ ი მ ე ნ ა

თავს ნუ მახეზრებ, მწუხარება მსურს ღამეს ვანდო, წადი, დამტოვე, ვიკენესებ და ვიტირებ მარტო.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე მ ზ ე მ ე

დ ო ნ დ ი ე გ ო

ბედნიერებით ვერასოდეს ვერ აღვივებთ, კამკაშია მზესაც ეფარება ქუფრი ნისლები. კმაყოფილი ვართ, მაგრამ მაინც გვაწუხებს რაღაც, ჩემს სიხარულსაც მწუხარება აჩნია დაღად. ბედნიერებით ვარ აღსავეს და მაინც ვწიშობ, მტერი მომიკლა და ღირსება დაიცვა პირმშომ. მოკლული ვნახე, მინდა მკვლელის ვნახო მარჯვენა, რომელმაც ხმალით სამართლისა შესძლო გაჩენა. მთელი ქალაქი მოვიარე, ვერ ვნახე კვალიც, სად არ ვიყავი, მაგრამ ვერსად ვერ მოვკარ თვალი, ვერსად ვიპოვე და ამაო ძეხნით დავშვერი, ვერ ვნახე გმირი მამაცი და ხმლისა დამშვენი. ამ ბნელ ღამეში მსურს წავაწყდე სადმე შემთხვევით, მაგრამ არა ჩანს და მის ნაცვლად აჩრდილს ვეხვევი. საყვარელ პირმშოს დატრიალებს ფიქრები ჩემი, გულს მიხრავს ეჭვი და ვკანკალებ ზარდანაცემი. რაღა ვიღონო? სად წავიდა, სად გაქრა ნეტავ?

გრაფის მეგობართ შურისგება მაშინებს მეტად. ბევრნი არიან, ეს მაშფოთებს, მიმღვრევს გონებას. ან მოკლულია, ან ციხეში მსჯავრს ელოდება. ცაო მაღალო, კვლავ ვტყუვდები, თუ ეს ცხადია? ჩემი იმედი არ ჩამქრალა, ისევ ანთია. სწორედ ის არის, აქეთ მოდის, მიახლოვდება, გაქრა შიში და ახლა გულიც აღარ ღონდება.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე მ ზ ე მ ე

დ ო ნ დ ი ე გ ო, დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

დ ო ნ დ ი ე გ ო

როდრიგო, შვილო, ღვთით მოხვედი და ისევ გხედავ!

დ ო ნ რ ო დ რ ი გ ო

ვაგლახ!

დ ო ნ დ ი ე გ ო

სიხარულს ნუ მომისპობ, ნუ შემყრი სევდას. შენი მარჯვენის დალოცვისა მომეცი ნება, მისი წყალობით აღსდგა ჩემი ძველი დიდება. ჩემს სისხლს შენს გულში ძალოვანი გააქვს ჩქაფანი, შენ გააცოცხლე უშიშარი მამა-პაპანი. მათი ჯიშის ხარ, მათი მოგდგამს შენც ვაჟკაცობა, ყველა ჩემს ბრძოლას შენმა ერთმა დარტყმამ აჯობა. როცა მეტოქე განგმირე და აღმოხდა კვნესა, ეგ სიჭაბუქე გაუტოლდა დიდებას ჩემსას. ჩემო იმედო, მოვლენილო ჩემს გასახარად, შეახე ხელი კვლავ დიდებით მოსილ ჭალარას. აკოცე ლოყას, შენ რომ იხსენ შერტყვნისაგან და მარჯვე ხელით საშინელი მოსწმინდე ლაქა.

დონ როდრიგო

თქვენი ღირსება არ დამეცვა — არ იქნებოდა,
ეს წმიდა ვალი მოეხადა უნდა თქვენს მოდგმას.
გული ამივსო სიხარულით თქვენმა შექება,
პირველი ბრძოლა საამაყოდ მუდამ მექნება.
კმაყოფილი ხართ, რომ ღირსება არ დაგებინდათ?
მაშ მეც მისმინეთ, მამაჩემო, ახლა მეც მინდა
დავიცხო სულის მღვლევა და გულისწყრომა,
რომ მაწვალე და დამალული აქამდე რომ მაქვს.
არ მენანება, ჩემი მკლავის გარჯით რაც გარგეთ,
მაგრამ მინდა, რომ დამიბრუნოთ ის, რაც დავკარგე.
ტრფობას აღუდგა მკლავი, როცა მტერი განგმირა,
ღირსების დაცვამ მე მიჯნური დამაკარგინა.
ნურაფერს მეტყვიო: ყველაფერი მე თქვენთვის დავთმე,
ვალი კი სრულად გადავიხადე, აღარა მმართებს.

დონ დიეგო

რატომ ამცირებ მაგ გმირობას და სიჩაუქეს:
სიცოცხლე მოგეც, შენ ღირსება ისევ მაჩაუქე.
რადგან სიცოცხლეს მირჩევნია ღირსება, ძლევა,
ამიერიდან შენს წინაშე მოვალე მე ვარ.
ცუდია თუკი სიყვარული გულს მოერიბა,
ღირსებას კარგად გაუფრთხილდი, ქალი ბევრია.
ტრფობა ტყბილია, ღირსება კი ჩვენ ვალად გვაღვივებს.

დონ როდრიგო

რასაც თქვენ ამბობთ...

დონ დიეგო

ამის ცოდნა უჩემოდ გმართებს.

დონ როდრიგო

შურისძიებით ჩემივ თავის გაუხდი ჯალათი
და თქვენ მიზედავთ ჩამაგონოთ სატრფოს ღალატი?

ვინც ვერაგულად ტოვებს მიჯნურს, კრულია მარად
ბრძოლის ველიდან გაქცეული ჯაბანის დარად.
ჩემი ტრფობა ხომ ისე წმიდა, ისე ტყბილია,
რომ მე ღალატი გულშიაც კი არ გამივილია.
ვერ დავივიწყებ, არც არასდროს არ დაბრუნდება,
სიკვდილს დავეძებ ჭრილობათა განსაკურნებლად.

დონ დიეგო

რა დროს ეგ არის? გული ჯავრით ნუ გებინდება —
მამულს და მეფეს შენი მკლავი ახლა სჭირდებათ.
მავრების ფლოტი მდინარეზე გამოჩნდა კიდეც.
ქალაქის მხრიდან დასარბევად ჯიქურად გვიტყვის.
გადმოსხდნენ უკვე. ერთ საათში, სიბნელის ფარით
და ზღვის მოქცევით, მოგვადგება მავრების ჯარი.
სასახლე შეფოთავს, ემინია ხალხს მავრთა რისხვის,
გულშემზარავი ყვირილი და გოდება ისმის.
და, თუმცა ქალაქს ჩამოაწვა შიმე ღრუბლები,
შინ დაბრუნებულს სიხარულმა შემასხა ფრთები:
ხუთასი ჩემი მეგობარი მოსულა ერთად
და ყველას გული შურისგების სურვილით ძგერდა.
შენ მათ დაასწარ, მტერი მოჰკალ მოუშველებლად,
მაგრამ იმათ ხმლებს აფრიკელთა სისხლი შეღებავს.
უსარდლე, როგორც შენს ღირსებას შეეფერება,
შენი არჩევა მეთაურად თვითონ ენებათ.
თუ სიკვდილს ელი, ჯობს ბრძოლაში მარჯვენა სინჯო,
უბრალოდ სიკვდილს სახელოვნად სიკვდილი გიჯობს.
თვითონ შემთხვევამ მოგივლინა ასეთი ბედი,
თუ სიკვდილია, დე, მეფისთვის გაგიბონ მკერდი.
მაგრამ ეცადე დამიბრუნდე გვირგვინმოსილი,
შენ მასახლე და მე დიდად ვამაყობ შვილით.
აწ მეტი გმართებს შემართება და სიმამაცე —
შეიძელ მეფემ ვაპატიოს, ხიმენა დაცხრეს.

ხომ გიყვარს იგი? მაშ დაბრუნდი გამარჯვებული,
რათა მოალბო და მოიგო მიჯნურის გული.
ახლა კი მოვრჩეთ. საუბარში დრო უქმად გადის.
საჩქაროდ უნდა მოემზადო ლაშქრობისათვის.
იყავ ბრძოლაში უშიშარი, მარჯვე და სწრაფი:
დარწმუნდეს მეფე — ღირსეულმა შეცვალა გრაფი.

მოკმედება მეოთხე

გამოსვლა პირველი

ხიმენა, ელვირა

ხიმენა

ელვირა, ვინმემ სიცრუის ხმა თუ გაავრცელა?

ელვირა

ვერ წარმოიდგენთ, როგორ ერთხმად აღიდებს ყველა.
არ გვინახავსო, იძახიან, გმირი ამგვარი:
შეუტია და დაიფრინა მავრთა ლაშქარი.
სწრაფად გაბრუნდა, გაიფანტა მტერი ძლეული,
ასე უეცრივ გატეხილი, სირცხვილეული.
სამი საათის ბრძოლამ მოგვცა მშვიდობა სრული,
გამარჯვება და ორი მეფე დატყვევებული.
მავრთა-სარდალი ბედს იწყევლის სახელწამხდარი.

ხიმენა

და ყოველივე ეს როდრიგოს წყალობა არის!

ელვირა

როდრიგომ მარტომ მოახერხა მეფეთა ძლევა,
დააყრევინა იარაღი და დაატყვევა.

ხიმენა

სთქვი, ვინ გაამბო ეგ ამბავი გასაოცარი?

ელვირა

ხალხმა, რომელიც მისი მკლავის არის მლოცავი.
მფარველ ანგელოზს უწოდებენ, ზეცამდე აჰყავთ,
ყოველ ნაბიჯზე მხოლოდ იმის მაქებარს ნახავთ.

ხ ი მ ე ნ ა

თუ ეკაშნიკა ეს გმირობა ხელმწიფეს ნეტავ?

ე ლ ვ ი რ ა

ჯერ არ ხლებია მას როდრიგო, ალბათ ვერ ბედავს.
მამამისმა კი, მთელი გულით რომ გაიხარა,
შვილის მაგიერ ტყვე მეფენი ფიცხლავ მიჰგვარა,
თან მოწიწებით უთქვამს თურმე, თქვენს დასტურს ველი,
ფირმანსა გთხოვთო, რომ გაახლოთ მამულის მსხნელი.

ხ ი მ ე ნ ა

ხომ არ დაჰკრილა?

ე ლ ვ ი რ ა

ეს არ ვიცი, არავის უთქვამს.
თქვენ ფერი მიგდით, ქალბატონო, გამაგრდეთ უნდა.

ხ ი მ ე ნ ა

ჰო, მართალია, ისევ უნდა ამაღლდეს სული!
მისთვის ვიზრუნო, მისთვის ვიყო შეწუხებული?
მას აღიდებენ და მე ამით უნდა ვხარობდე?
მოვალეობის შესრულებას არა ვჩქარობდე?
დადუმდი, ტრფობავ, მრისხანებავ, ძალა მიბოძე:
მეფენი სძლია, მაგრამ მამას ვერ გამიცოცხლებს.
როდრიგოს პირველ ბრძოლაში რომ გაუჭრა მაჯამ,
იმავე დღიდან გულს მიღონებს შავ-ბნელი ძაძა.
და რაზომც უნდა განადიდონ და აქონ იგი,
მის დანაშაულს ყველაფერი მაგონებს ირგვლივ.
შავო სამოსო: შავო კაბავ, შავო პირბადევ,
შავო მანდილო, უკუნეთის ფერი რომ გადავით,
მისი პირველი გამარჯვების თქვენ ხართ ნიშანი,
მასორეთ ტრფობა, აღმისრულებთ წმიდა მიზანი.
ნუ მიაჩვენებთ გაღვიძებულ გრძნობას მძლეობას,
გონებას ჩემსას უკარნახეთ მოვალეობა,
თქვენ დამიფარეთ, ჩამომხსენით შერცხვენის ლოდი.

ე ლ ვ ი რ ა

დაიცხრეთ რისხვა, ქალბატონო, ინფანტა მოდის.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო რ ა

ინფანტა, ლეონორა, ხიმენა, ელვირა

ინფანტა

შენთან იმისთვის არ მოვსულვარ, რომ დაგამშვიდო, მინდა შენს გვერდით ვივალალო, ვიტყვით თვითონ.

ხ ი მ ე ნ ა

ხალხის სიხარულს ეზიაროთ, არ ირჩევთ განა?
გაიხარეთ, რომ მტერს გადურჩა ჩვენი ქვეყანა.
მხოლოდ მე მმართვებს, ქალბატონო, ოხვრა-გოდება,
როდრიგომ შეძლო შემოსეულ მავრთა ოტება:
ავცვდა მუქარა, საქმე მოხდა გულგასახარი,
მხოლოდ მე უნდა დამედინოს დღეს ცრემლის ღვარი.
იხსნა ქალაქი, მეფის მტერი მოიგვრია,
მისი მარჯვენა ახლაც მხოლოდ ჩემი მტერია.

ინფანტა

მართლაც, გმირობა ჩაიდინა მან საარაყო.

ხ ი მ ე ნ ა

გულს მიკლავს ეგ მე. ვინ არ აქებს და ვინ არ ამკობს.
ყური წაიღეს, გმირიაო სწორუპოვარი,
სიყვარულში კი უბედური, უიღბლო არის.

ინფანტა

შერედა განა ეს ამბავი გასაკვირია,
იგი ხომ ხალხის სანაქებო გმირთა გმირია?
იმ ომის ღმერთმა გული ტრფობით ხომ განგიწონა,
გეტრფოდა ისიც, იყო შენი მორჩილი მონა.
შენი არჩევნის შექებაა მისი შექება.

ხ ი მ ე ნ ა

დე, ყველამ აქოს, მე კი ტანჯვა მიორკეცდება.
იმის გვირგვინზე მოციმციმე დიდების სხივი
მიღვივებს ცეცხლს და ჯოჯოხეთურს მიმატებს ტკივილს-
კოცონზე იწვის ჩემი გული, როგორც ზვარაკი:
აშკარად ვხედავ, რა დავკარგე მისი დაკარგვით.
ო, სინანულო! სიყვარულის გაბედითება!
ტრფობა მატულობს, რაც მეტს ვისმენ ქება-დიდებას.
და მაინც გრძნობამ ვერ დაჩრდილა ღირსების ვალი,
არ შევიბრალებ — დაისაჯოს კანონის ძალით.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

მაგ ვალს ღირსება სხვანაირი ამკობდა გუშინ,
შენ საკუთარ თავს დაუნდობლად ებრძოდი გულში
და სასახლეში შენს სიმხნევეს აქებდნენ წრფელად,
უიღბლო მიჯნურს თანაგრძნობით გიცქერდა ყველა.
მე ხომ მენდობი, რასაც გეტყვი, მომისმენ კარგად?

ხ ი მ ე ნ ა

თქვენდამი რწმენას, ქალბატონო, რა დამიკარგავს!

ი ნ ფ ა ნ ტ ა

რაც გუშინ იყო, ის დღეისთვის უვარგისია.
როდრიგო ჩვენი ბურჯია და დაფნის ღირსია,
ხალხს უყვარს იგი, აღმერთებენ ყველანი მის ხმალს:
ის კასტილიის ფარია და მავრების რისხვა.
ხელმწიფე ფრიად კმაყოფილი არის ამ ამბით,
როდრიგოს სახით გაცოცხლდაო ნამდვილი გრაფი.
მოკლედ რომ მოვჭრათ, შურისგების არ გაქვს უფლება, —
როდრიგოს დასჯით კასტილია დაიღუპება.
სად გაგონილა, შურისგებას შესწიროთ ერი,
გაანადგურო მამული და ახარო მტერი.

როდრიგოს ებრძვი და ჩვენ ამით საფრთხეში გვაგდებ,
რას გვემართლები, ერთი მითხარ, რა ბრალი გვადევს.
რალა თქმა უნდა, შენ უფლება გეძლევა სრული
არ ვაპყვე მას, ვინც მამაშენის განგმირა გული,
ამას არც ვირჩევ, სხვა განაჩენს ჩვენ შენგან ველით:
ჩაჰკალი ტრფობა, სიცოცხლეს კი არ ახლო ხელი.

ხ ი მ ე ნ ა

ასე სხვა იქმდა, არა ჩემი მოდგმა და გვარი,
ჩემს შურისგებას, ქალბატონო, არა აქვს ზღვარი.
დაე, მიყვარდეს, როგორც წინათ მგზნებარედ, წმიდად,
დე, აქოს ხალხმა, შეიყვაროს ხელმწიფემ დიდად,
დაე, ესმოდეს მხნე ლაშქარის ვაშა მქუხარე:
დაჩრდილავს ყოველს კვიპაროზის ჩრდილი მწუხარე.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

იმაზე მეტი შურისგება რალა იქნება,
გულში მიჯნურის სიყვარული თუ ჩაგიქრება.
ის ჩაითვლება სულგრძელად და უბადლო გმირად,
ვინც ღირსებისთვის დასაღვრელ სისხლს მამულსა წირავს.
შოეპყარ ცივად და შეიპყრობს დარდი მტანჯველი,
ამაზე დიდი არ არსებობს მისთვის სასჯელი.
ამგვარი ქცევა მამულისთვის გმართებს და შეგფერს,
ესეც არ იყოს, რას გეტყოდა პასუხად მეფე?

ხ ი მ ე ნ ა

უარიც რომ თქვას, შეგეცდები მტერი დამიწლეს.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

კარგად იფიქრე და შედეგი არ დაგავიწყდეს.
მშვიდობით. მარტომ მოისაზრე, რაც მე გითხარი.

ხ ი მ ე ნ ა

მამა მომიკლეს! არჩევანი აქ აღარ არის.

გაგოსვლა მესამე

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, დონ არიასი,
დონ როდრიგო, დონ სანჩო

დონ ფერნანდო

მამაცო ძეო, ღვაწლმოსილი, დიდი გვარისა,
მარად რომ იყო სიამაყე მშობელ მხარისა,
შთამომავალო ძალგულოვან მამა-პაპათა,
პირველმა ბრძოლამ შენ იმათი ტოლი გაგზადა.
ვერ მიპოვნია ჯილდო შენი შესაფერისი,
მაგ ფასულები ღვაწლისათვის რისიც ხარ ღირსი.
ჩემი ტახტის და ჩემი კვერთხის გაძლიერება,
ღამით მტრისათვის შემმუსვრელი ხმლისა ძგერება,
ღამით, როდესაც ჩვენ ვიწყებდით მხოლოდ მზადებას, —
ეგზომ დიდია ეგ გმირობა და თავდადება,
რომ ვალში ვრჩები შენს წინაშე ხელმწიფე თვითონ;
ტყვე მეფეებმა ჩემს მაგიერ მოგართვეს ჯილდო:
ორივე გაქებს და ორივე გახსენებს რიღით,
ჩემს სასახლეში მათ სახელად შეგარქვეს „სიდი“,
რადგან ეს სიტყვა მათ ენაზე აღნიშნავს „ბატონს“,
იყავი სიდი, ამის ღირსი შენა ხარ მარტო.
ღე, ამ სახელმა გადალახოს ყველა საზღვარი,
ტოლედოსა და გრანადასაც დასცეს თავზარი.
მიბრძანებია, ჩემს ქვეშევრდომს ეცნობოს ყველას,
რომ მოგვევლინე ტახტისა და სამშობლოს მცველად-

დონ როდრიგო

დიდო მეფეო, მოგახსენოთ, მომეცი თ ნება:
ღვაწლი მცირეა, განუზომლად დიდია ქება.
რა ვქმენ ისეთი? სირცხვილისგან ვწითლდები კიდევც,
ულირსი ვინმე ესეოდენ რომ განმადიდეთ.
მამულიშვილი, ვიცი, მეფეს შენავედრია —
ჩემი სისხლი და ჩემი სუნთქვაც თქვენი ხვედრია.
თქვენთვის ვიბრძოლებ, სანამ ღონე შემრჩება მკლავში,
თუ მომკლეს, მხოლოდ ვალს მოვიხდი მეფის წინ მაშინ.

დონ ფერნანდო

და განა ყველას, ვინც ერთგულობს, ახლოა ტახტთან,
ასე ბრწყინვალედ შეუძლია ვალის გადახდა?
და მხოლოდ იგი, ვისი გულიც არასდროს კრთება,
იმარჯვებს მუდამ და დიდების გვირგვინსა წვდება.
მომეც უფლება ძლევაშისილს შეგიქო მკლავი
და დაწვრილებით მომიყევი ბრძოლის ამბავი.

დონ როდრიგო

თქვენ უკვე იცით, როცა ხმები გავრცელდა ხალხში
და შიშის ზარმა აიტანა ქალაქი, მაშინ
მამას ეახლა მეგობართა მთელი კრებული.
მეტებდნენ... იმ დროს ვიყავ ისე დამწუხრებული...
მაგრამ, მეფეო, მაპატიოთ გთხოვთ თავხედობა,
თქვენი დასტურის მიღებამდე, დავძარ მხედრობა.
დრო აღარ იყო, მტრის ლაშქარი ახლოვდებოდა,
სასახლეში რომ მოვსულიყავ, საფრთხე მელოდა.
და გადავწყვიტე, რომ უბრალოდ თავის წაგებას
ათასჯერ მიჯობს მეფისათვის ხმალზე აგება.

დონ ფერნანდო

შენმა ფიცხელმა შურისგებამ თუმც გრაფი დასცა,
მაინც დაგიცავ, რადგან შესძელ სამშობლოს დაცვა.
შურისძიება სურს ხიმენას ჩემივე კვერთხით,
მაგრამ პასუხად მე მას მხოლოდ სამძიმარს ვეტყვი.
განაგრძე!

დონ როდრიგო

მეისევე დავიძარი ხუთასი კაცით,
ყველა მათგანი ფრთაშემართულს მოჰგავდა არწივს,
გზადაგზა ბევრი მეომარი შემოგვემატა.
მდინარის პირად უკვე სამი ათასი მახლდა.
ჩვენი ლაშქრობა იყო ისე მხნე და მეღვარი,
რომ გაგულადდა, გათამამდა მხდალი მხედარიც.

ლაშქარის ორი მესამედი დავებულე სწრაფად:
მათ ხომალდები მივუჩინე ხელსაყრელ საფარად.
ჯარისკაცები ყოველ წუთში მემატებოდა,
ყველა მათგანი მოუთმენლად ბრძოლას ელოდა.
ჩემი ბრძანებით მთელი ჯარი ჩუმად წვებოდა,
რომ მშვენიერი ღამე თავზე დასთენებოდა.
სხვებთან მიწაზე უჩუმარად გაწვენენ მცველებიც,
რომ მარჯვე ხერხით გამეთოკა მტრისთვის ხელები.
არ მსურდა ჩემი თავნებობის გამომჟღავნება,
თავს ვაჩვენებდი, თითქოს მომდის მეფის ბრძანება.
ბოლოს მოელო, როგორც იქნა, ბოლო ჩვენს ლოდინს,
ვხედავთ ოცდაათაფრიანი მოცურავს ფლოტი.
ვარსკვლავთა შუქში მოჰყვებიან სწრაფად დინებას,
თითქოს ტალღებიც წარმომდგარან შესარკინებლად.
ხელს არვინ უშლით სიჩუმეა დაურღვეველი,
თითქოს არც ქალაქს, არცა ნაპირს არა ჰყავს მცველი,
სიწყნარეა და მტერს დამხვდური არსად ეგულვის,
მოულოდნელი თავდასხმისათვის ამხედრებული
ტოვებს ხომალდებს და ნაპირზე გადმოდის სწრაფად,
ველარ კი ამჩნევს რა საშინელ ხაფანგში ვაბამთ.
წამოვდევით და დავიქუხეთ ერთბაშად ყველამ,
ზეცის რისხვისგან გააჩვენდით იმ ქუხილს ძნელად.
ამ დროს იჭექეს ხომალდებში ჩასაფრებულთაც,
შეშინებული მავრთა ჯარი სწრაფად შებრუნდა,
თვითონ აოხრდა, მოვარდნილი ამოხრებლად,
ისე გაქუსლა, ვერ მოასწრო ხმლის ამოღება.
ხმელეთიდანაც შევუტეთ, დავლაშქრეთ წყლიდან,
გარბოდა თავგზაბნეული, იარაღს ყრიდა.
აღარ ვაცალეთ სულის მოთქმა, დავეცით ზარად,
მიწაზეც, წყალზეც მავრთა სისხლი დიოდა ღვარად.
მაგრამ მხნეობა დაუბრუნდათ კვლავ იმათ სარდლებს
გამოფხიზლდნენ და ხელმოორედ შეტევა სცადეს.

შეუბრძოლებლად და ლაჩრულად სიკვდილის შიშით,
მიეცათ გული, წამოიწყეს ხმლის იერიში.
მტკიცე ნაბიჯით წამოვიდნენ, გვიტევდნენ სწრაფად
და ჩვენი სისხლიც მათი სისხლის ერთვოდა ნაკადს.
მავრების ფლოტი, მდინარე და მთელი ნაპირი
იყო სიკვდილის სანავარდო სისხლით ნაფერი.
ოი, რამდენი გმირობა და სიმარჯვე მკლავთა
ბედითი ღამის საშინელმა წყევლიადმა შთანთქა.
თვისი გმირობის ყველა თვითონ იყო ამწონი
და ვერ ამჩნევდა საით ძღვედა ბრძოლის სასწორი.
მე სადაც ჰირდა, იქ ვიყავი. ყველგან ვჩნდებოდი,
ზოგს წინ ვუძლოდი, სხვას დაცვაში ვეხმარებოდი.
მარქაფი ჯარით ვამზადებდი ახალ ლაშქრობას;
გათენებამდის არ ვიცოდით — ვინ ვის აჯობა.
და აი დილით ყველაფერი ნათელი ვახდა:
ჩვენ ვიმარჯვებდით, ხოლო მავრთა ლაშქარი წახდა.
ხედავენ, ჩვენი სამარქაფო ჯარი რომ მოდის,
კარგავენ იმედს და გარბიან უკანვე შფოთით.
აუშვეს ლუზა, ბავირები დასჭრეს ხომალდებს,
ვაი-ვაგლახით იალქნები სწრაფად მომართეს.
გადავიწყდათ მეფეთათვის ზრუნვა და გარჯა,
თვითონ მოჰკურცხლეს, მეფეები ნაპირზე დარჩათ.
დამფრთხალი ჯარი ღირსეულად აღარ იქცევა:
მოჰყვა მოქცევას და უკანვე გაჰყვა მიქცევას.
ეს მაშინ, როცა მეფეები მცირე მხლებლებით
გვებრძოდნენ მედგარად, მამაცურად, შეუსვენებლივ.
არა დრკებოდნენ, ჩანს სიცოცხლე უღირდათ ძვირად,
ორივე მეფემ დანებებაც შორს დაიჭირა.
იუკადრისეს ტყვედ დარჩენა. მაშინ კი, როცა
მათი მხლებლები ერთიანად ამოიხოცა,
უაზრო ბრძოლას ხმლის ჩაგება არჩიეს ისევ,
მოვიდნენ ჩემთან და უსიტყვოდ ჩამბარდნენ მყისევ.
გამოვიგზავნეთ ორივენი. ბრძოლაც დამთავრდა,

რადგან მეტოქე ბრძოლის ველზე უკვე არ გვყავდა.
ამრიგად, თქვენმა ერთგულებმა სამაგალითოდ...

გამოსვლა მეოთხე

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, დონ როდრიგო, დონ
არიასი, დონ ალონსო, დონ სანჩო

დონ ალონსო

მეფევ, ხიმენა გეახლათ და თქვენს პასუხს ითხოვს.

დონ ფერნანდო

რა მძიმე ვალი დამაკისრა მაღალმა ღმერთმა!
უნდა წახვიდე, რომ ხიმენამ არ გენახოს ერთად.
ხედავ? გაძევებ, მადლობის თქმას თუმცა ვლამობდი.
მსურს გეამბორო, მოდი ჩემთან, მომიახლოვდი.
(როდრიგო გადის)

დონ დიეგო

როდრიგოს დევნის ხიმენა და კვლავ უყვარს წმიდად.

დონ ფერნანდო

მეც გავიგონე ეგ და ახლა დავრწმუნდე მინდა.
დანაღვლიანდით!

გამოსვლა მესამე

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, დონ არიასი, დონ
სანჩო, დონ ალონსო, ხიმენა, ელვირა

დონ ფერნანდო

მამ, ხიმენა, აწ გიხაროდეთ,
თვითონ შემთხვევა მოგეხმარათ, ნულარა გოდებთ.
როდრიგომ ბრძოლით მოიპოვა დიდება სრული,
მაგრამ დაიჭრა და ჩვენს თვალწინ დალია სული.

თვითონ უფალმა დაგისაჯათ მოსისხლე მტერი.

(დიეგოს)

ხედავთ, დიეგო, რარიგ სწრაფად ეცვალა ფერი?

დონ დიეგო

მას გული მისდის, ხელმწიფეო, ის ცუდად გახდა.
თვითონაც ხედავთ: ჩემი სიტყვა ნამდვილად ახდა.
ამ საქციელით გაამქლავნა გრძნობა ფართული
და ხომ დარწმუნდით, თუ რარიგად წვავს სიყვარული?

ხიმენა

როდრიგო მოჰკლეს?

დონ ფერნანდო

არა, არა, ის ცოცხალია,
მზე ვერ ჩაუქრეს და უყვარხარ კვლავაც ძალიან:
დაიცხრე გულის წუხილი და მოეგე ცნობას.

ხიმენა

მეფევ, ზოგჯერ ხომ სიხარულიც წაგვართმევს გრძნობას?
ისიც ხომ არის, ხელმწიფეო, სიმართლე სრული,
რომ გულს გვიღონებს სიხარული მოზღვავებული.

დონ ფერნანდო

თვალს ნულარ გვიხვევ, ჩვენ ხომ ყველამ ვიხილეთ ცხადად,
როდრიგოსადმი თქვენი გრძნობა ვით გამოამქლავნა.

ხიმენა

დე აგრე იყოს, მე ამასაც, მეფევ, ავიტან,
თუმც ამ ამბავმა ჩემი გული მართლაც დაბინდა.
ძლიერ შევწუხდი, რალა მექნა, აღარ ვიციოდი,
სასო წამერთვა, საშინელი შურით ვიწვოდი,
ასე ვიფიქრე: თუ როდრიგო დაეცა ველზე,
მამასადამე შურისგებას ველარა შევძლებ.

შეურაცხყოფდა, გმირულად რომ დაედო თავი,
მსურს მოკვდეს იგი, მაგრამ დაფნით შეუმოსავი.
არ მსურს დიდებით ცას წვდებოდეს მარჯვე ყველაზე,
მინდა ჯალათმა აიყვანოს სახრჩობელაზე.
მამულს კი არა, მსურს მამაჩემს ემსხვერპლოს იგი,
მოკვდეს შერცხვენით, ვერ ეღიროს დიდების გვირგვინს.
მამულისათვის თავდადებას რაღა ჯობია,
თავდადებულის სახელი ხომ ჩაუქრობია.
ეხარობ როდრიგოს მამაცობით და გამარჯვებით,—
მან თქვენ მშვიდობა დაგიბრუნათ, მე კიდევ — მსხვერპლი,
არა მწუხარე, მგლოვიარე, დამარცხებული,
არამედ დაფნით შუბლშემკული, მადლით ცხებული.
და ამაყად რომ განეაცხადო, თავს ვაძლევ ნებას:
მამაჩემს მსხვერპლად ღირსეული შეეწირება...
მაგრამ ამაოდ, ოცნებაა ეს ყველაფერი:
რას დავაკლებ და შევაშინებ როდრიგოს მე რით?
რას უნდა გავხდე მწუხარებით, ოხვრით და ცრემლით?
უფნებელია, რადგან თქვენ ხართ მისი დამცველი.
მთელი ქვეყანა მას მფარველობს, მას უდგას გვერდით
და, რა თქმა უნდა, მეც მომელის მის მტერთა ბედი,
რომელთა სისხლში სამართალი ჩახშობილია.
მართლმსაჯულება მისი მონა და მორჩილია.
კანონი არ სჭრის და არ არის საშველი არსად
და მეც მას უნდა ტყვედ ჩავბარდე მეფეთა მსგავსად.

დონ ფერნანდო

დამშვიდდი, შვილო, ვინაც ჩქარობს, ცუდად ირგება,
ავწონ-დავწონოთ, საქმე ისე არ განისჯება.
მამა მოგიკლეს, მაგრამ ჩხუბი ასტეხა თვითონ,
მე ეს მაფიქრებს, რა ვიღონო, ვით გადავწყვიტო?
ჯერ ბრალს ვერ დავდებ, მანამდე კი გულს შეეკითხე,
ის ხომ როდრიგომ დაიპყრო და მორჩილებს, ვით ტყვე.
ვიცი ყოველი, მაგ ანთებულ გულში რაც ხდება,
გადამირჩინე მიჯნურიო, მე მევედრება.

ხიმენა

გადამირჩინოთ, მწუხარების, კაეშნის მგვრელი!
ძაძის მიზეზი, გლოვის წყარო და მამის მკვლელი!
ჩემს სამართლიან გულისწყრომას არაფრად აგდებთ?
საჩივრისათვის, ჩანს, ბოდიშის მოხდაც კი მმართველს!
აშკარად ვხედავ, პატივს არ სცემთ ჩემს ცრემლს აქ დაღვრილს,
ნება მიბოძეთ, ხელმწიფეო, მივმართო მახვილს.
ხომ ხმლით იძია მამისათვის როდრიგომ შური,
და მეც ხმალითვე შურისგების მოვიკლავ წყურვილს.
ყველა თქვენს რაინდს მოვუწოდებ ამიღონ სისხლი:
ვინაც როდრიგოს თავს მომიტანს, ვიქნები მისი.
სცადონ მარჯვენა, ვინც ხმალდახმალ მოიგებს ბრძოლას,
მისი ვიქნები, მას გავყვები, მეფეო, ცოლად.
ბრძანეთ, მეფეო, გამოწვევა ეცნობოს ყველას.

დონ ფერნანდო

ასეთი წესი არსებობდა წარსულში, ძველად,
შემოგვრჩა დღემდე, მაგრამ მუდამ სწორად არა სჯის,
ამიტომ ხშირად გვეღუბება გმირი ვაჟკაცი.
ზოგჯერ მარცხდება, ვისაც ხმალში არ ჰყავს ბადალი,
ხშირად მტყუანი იმარჯვებს და არა მართალი.
როდრიგოს, ვინაც გმირთა გმირებს გაეთანაბრა,
ვათავისუფლებ, ვერ დაეტოვებ ბედის ანაბრად.
ბრალიც რომ ჰქონდეს, ვაპატიებ და შევიწყნარებ,
რადგან თან გაჰყვა მისი ბრალი გაქცეულ მავრებს.

დონ დიეგო

რას ამბობთ, მეფეე, მაგ განაჩენს თქვენგან არ ველი,
ერთი კაცისთვის დავივიწყოთ ადამი ძველი?
ხალხი რას იტყვის? გავრცელდება ჭორი საზარო,
თუ ის თქვენს კალთას შეეფარა, როგორც ლაჩარი,
თუ ასპარეზზე არ გავიდა წარბშეუხრელი,
იქ ხომ რაინდებს სასახელო სიკვდილი ელით.

ეგ მფარველობა მას წაართმევს, მეფევ, დიდებას,
ჯობს, თუ როდრიგო თქვენს წყალობას განერიდება.
თავხედობისთვის მან ხომ გრაფი აავო ხმალზე,
დაე, ბოლომდე შეიფეროს ეს სიმამაცე.

დონ ფერნანდო

რადგან აგრე გსურთ, აღარ ვდგები როდრიგოს მცველად,
იბრძოლოს, მაგრამ გამარჯვებას ისურვებს ყველა.
ხიმენა იმათ ისეთ ძვირფას ჯილდოს ჰპირდება,
რაინდი რაინდს დანასისხლად წაეკიდება.
ერთი როდრიგო ყველა რაინდს რად შეებრძოლოს?
საკმარისია, ხმალში ერთხელ გავიდეს მხოლოდ.
ხიმენა, ახლა შენი ჯერი არის არჩევა,
კარგად განსაჯე, სანანებლად ნულარ დაგრჩება.

დონ დიეგო

დასაძრახისი როდი არის, ვინც შეშინდება:
მოასპარეზეს მართლაც რკინის გული სჭირდება.
ვინაც როდრიგოს მამაცობის ისმენდა ამბავს,
უკან დაიხეცს, ვერ გაბედავს ბრძოლაში ჩაბმას.
ვინ არის მისი მოქნეული ხმალის დამხვედრი?
რომელი გმირი, ქედფიცხელი, უკეთ თავხედი?

დონ სანჩო

სურს ასპარეზი — მოიძებნა ასეთი პირი:
მე ვარ თავხედი, უკეთ რომ ვთქვათ, გახლავართ გმირი.

(ხიმენას)

გაიმეორეთ ეგ სიტყვები ტკბილმოსასმენი, —
ხომ კარგად გახსოვთ, ქალბატონო, პირობა თქვენი?

დონ ფერნანდო

ხიმენა, შენი პირობა ხომ არ შეიცვლება?

ხიმენა

არა.

დონ ფერნანდო

მაშ ასე, ორთა ბრძოლა ხვალ დაიწყება.

დონ დიეგო

რა საჭიროა, გადადებას რატომ ინებებთ?
ბრძოლისთვის გმირი ხომ ყოველთვის მზად არის, მეფევე!

დონ ფერნანდო

მაგრამ როდრიგო წუხელ მავრებს ეომებოდა...

დონ დიეგო

მან დაისვენა, როცა ომის ამბავს ყვებოდა.

დონ ფერნანდო

ცოტათი კიდევ დაისვენოს, თანაც მე მინდა,
არ ააღვლვოს ორთა ბრძოლამ რაინდნი დიდად,
გაიგოს ყველამ, რომ სისხლისღვრას ვუტყერი ზიზღით,
არ დავესწრები. სასახლიდან არც არავისი
არ მსურს დასწრება, ნუ ნახავენ მათს შეტაკებას.

(დონ არიასს)

თქვენი დანიშვნა ორთაბრძოლის განმსჯელად მნებავს.
კარგად უყურეთ, არ დაირღვეს წესი და რიგი,
ვინც გაიმარჯვებს, სასახლეში მომგვარეთ იგი.
ვინც ვინდა იყოს, სიტყვა ჩემი მტკიცეა მუდამ,
ჩემივე ხელით ის ხიმენას მივგვარო უნდა.
გამარჯვებული თვით ხიმენას მიიღებს ჯილდოდ.

ხიმენა

ეგ მძიმე ტვირთი, ხელმწიფეო, თავს როგორ ვიღო?

დონ ფერნანდო

ნანობ? შენ მაგ ტვირთს სიყვარული შეგიმსუბუქებს,
როცა როდრიგო გაიმარჯვებს და მარჯვენს ვუქებ.
მაშ დამორჩილდი ჩემს განაჩენს, ყოყმანი კმარა:
ვინც გაიმარჯვებს ორთა შორის შეირთავ ქმარად.

მოკმელება მისუთი

გამოსვლა პირველი

დონ როდრიგო, ხიმენა

ხიმენა

როდრიგო, შენა! უშადღეზე როგორ მოხვედი!
ჩირქს ნუ მცხებ, წადი, წადი-მეთქი, იწამე ღმერთი!

დონ როდრიგო

მალე მოვეკვდები, ქალბატონო, და მინდა მხოლოდ
უკანასკნელად გიხილოთ და გამოგეთხოვოთ.
მე თქვენ მიყვარხართ, ო, მიყვარხართ თავდავიწყებით,
მინდა გაამოთ, გაგახაროთ და თქვენთვის ვკვდები.

ხიმენა

რა სთქვი? ვკვდებიო?

დონ როდრიგო

აჰა, უკვე ჩამოჰკრა ყამმა.
დაე, აღსრულდეს, შევეწირო უნდა თქვენს მამას.

ხიმენა

ნუთუ დონ სანჩო არის ისე დაუძლეველი,
რომ შეგაშინა და უთუოდ დაღუბვას ელი?
ნეტავი იგი როდის გახდა ესოდენ მძლავრი,
რომ უკვე ფიქრობ — დაეცემა მისი ხმლით მკვდარი.
ის, ვინაც მოჰკლა მამაჩემი, აჯობა მაკრებს,
გულს როგორ იტეხს ან შიშს ახლოს როგორ იკარებს!
მაშ, შიშის ზარმა შენს გულშიაც მოიკალათა?

დონ როდრიგო

არ მსურს ვიბრძოლო, მე სიკვდილი მადევს ვალადა.
თუმცა თქვენ მდევნით, მე ერთგულად ბოლომდე ვრჩები,
გინდათ, რომ მოვეკდე, თავს არ ვიცავ და აჰა, ვკვდები.
მხნელა ვარ ისევ, ჩემი ხმალი ისევ მჭრელია,
მაგრამ რად მინდა ის, რაც თქვენთვის საძულველია?
საბედისწერო იქნებოდა ჩემთვის ის ღამეც,
ბრძოლის მიზეზად რომ მქონოდა პირადი რამე,
თუ გავტყდებოდი, თავდამსხმელებს თუ არ დავძლევი,
მაშინ მეფესა და სამშობლოს ვუღალატებდი.
ჯერ თავი ეგზომ არ მომბეზრდა სიკვდილის მდომელს,
რომ მოვეკდე ისე, ვით უღირსნი კვდებიან ხოლმე.
საკუთარ თავზე მე დღეს პასუხს თვითონვე ვაგებ:
თქვენი სურვილით გულს უშიშრად მახვილზე ვაგებ.
სხვას დააკისრეთ, რომ თქვენს ნაცვლად აიღოს სისხლი,
თვითონ რომ მომკლათ, არ გამხადეთ მე ამის ღირსი.
გახარებული მას მივუშვერ ჩემს გულისფიცარს,
რადგან ის თქვენი რჩეულია, რადგან თქვენ გიცავთ.

ხიმენა

შურისძიების უმოწყალო, მრისხანე ძალამ
მე შენი ტრფობა დამაკისრა საშინელ ვალად,
თან დამავალა სიყვარულის ვიყო ერთგული:
თავი დაიცავ, ნუ იქნები თავდაღებული,
ნუ დაბრმავდები, გონს მოდი და დაფიქრდი კარგად,
რადგან სიცოცხლე თუ დაკარგე — დიდებას ჰკარგავ.
თუმცა გადიდებს ყველა, როგორც ბრწყინვალე რაინდს,
თუ დაეცემა, დამარცხდაო, იტყვიან მაინც.
შენ ხომ ღირსებამ დაგავიწყა მიჯნურის ვალი
და მამაჩემის სისხლით როცა შეღებე ხმალი,
ხომ იფიქრე, რომ არასოდეს გაგიღიმებდი?
და ხომ დაჰკარგე ცოლად ჩემი შერთვის იმედი?

მაშ ღირსებაზე რად აიღე ბრძოლის წინ ხელი
და სამარცხვინო, სააუგო სიკვდილს რად ელი?
რად ჩაქრა შენი ვაჟკაცობის მგზნებარე ალი?
ან იმთავითვე რად არ იყო იგი ჩამქრალი?

ჩემს წინააღმდეგ შენ ვაბედე ხმალი ავდიო,
სხვას რომ ებრძოლო, მამაცობა როგორ არ გეყო?
და მამაჩემი, შენ რომ ასე დაჯაბნე ხმალში,
შენც რომ მოგკლავენ, ხომ ორმაგად შერცხვება მაშინ.
სიკვდილს ნუ ეძებ,—შურისგება მსურს ღირსეული,
ჯობს ხმალმა გძლიოს, ნუ იქნები სულით ძლეული.

დონ როდრიგო

გრაფი მოვკალი, დავამარცხე მავრების ჯარი
და ღიღებისთვის ეს საკმაო ნუთუ არ არის?
არავის დაცვა ჩემს ღირსებას არა სჭირდება,
როდი მაკლია ან სახელი, ან განდიდება.

რას არ შევიძლებ ღირსებისთვის, რას არ ჩავიდენს
ვიდრე ის დავთმო, მირჩვენია საფლავს ჩავიდე-
ო, როგორც გნებავთ, როგორც გნებავთ იფიქრეთ ჩემზე,
მაგრამ მერწმუნეთ, ამ ბრძოლაში როდრიგო შეძლებს
მოკვდეს ისე, რომ არ მოაკლდეს შუქი ღიღებას,
მისი სახელი არასოდეს გაიქირდება.

სიკვდილიც ველარ დამამარცხებს, ვერ მოხდის გვირგვინს.
ასე იტყვიან „თაყვანს სცემდა ხიმენას იგი?
მას არ უნდოდა, რომ ხიმენას შესძულდებოდა,
თავისი ნებით მიჯნურისთვის უსიტყვოდ მოკვდა.
შურისგებაზე სატრფოს ფიქრი აქცია ცხადად,
ეს რომ არ ექნა, დამნაშავედ თავს შერაცხავდა.
ღირსების დაცვას შესწირაო, იტყვიან, სატრფო
და სატრფოს შური რომ ეძია, სიცოცხლე დათმო,
ღირსება სატრფოს ამჯობინა, ცად აიტანა,
ხოლო სატრფოსთვის სიცოცხლეც კი არ დაინანა“.

და თუმცა ბრძოლა დღევანდელი მომიტანს სიკვდილს,
შელის სახელი ბრწყინვალე და უსაზღვროდ დიდი.
იტყვიან, რომ მე რაინდებში არ მყავდა ცალი,
რომ ჩემებრ არვის მოუხდია მიჯნურის ვალი.

ხიმენა

რადგან სიკვდილი არ გასვენებს, აჩრდილად თან გდევს,
რადგან ღირსებას და სიცოცხლეს არაფრად აგდებ,
თუ გიყვარვარ და თუ არ გინდა უფრორე მტანჯო,
თავი დაიცავ, საყვარელო, ნუ მიმცემ სანჯოს.
ჩემო როდრიგო, შემძულდება მთელი საწუთრო,
ვინც მეზიზღება, სწორედ მან რომ დამისაკუთროს.
უფრო მეტს გეტყვი: მინდა იყო გამარჯვებული,
მოიგე ბრძოლა, თუ გსურს ჩემი მოიგო გული.
თუ კვლავ გიყვარვარ, მტერს დაუხვდი სამაგალითოდ,
ძლევა მოსილი დაბრუნდი და მიმიღე ჭილდოდ.
მშვილობით: ჩემი სიტყვებისა მრცხვენია თვითონ.

დონ როდრიგო (მარტო)

ახლა მზადა ვარ, ყველა მტერი ერთბაშად ვქლიტო:
მოგროვდით ერთად ესპანეთის შვილნო ძლიერნო:
ნავარელებო, მავრებო და კასტილიელნო,
წამოღით, როგორც ზვირთი რისხვით აგორებულნი,
მე დაგიხვდებით სიყვარულით შთაგონებულნი.
თუნდ ყველა ერთად შეებრძოლეთ სანუკვარ იმედს,
მაინც ვერ შეძლებთ მის ჩაქრობას, კვლავ იციმციმებს.

გამოსვლა მეორე

ინფანტა

ბრწყინვალე მოდგმავ, ჩემს მბრძანებლად შენ უნდა გთვლიდე
უმოწყალოდ რომ მომიკალ გული?

ანდა შენ, ტკბილო სიყვარულო, მუდამ რომ მიტევ
და გსურს გონება გყავდეს მარად დატყვევებული?
ოი, საბრალო მეფის ქალო, ორთან შებმული
თქვი, რომელ მათგანს გსურს დამორჩილდე?
ჩემი ღირსია, ვინც მავრებთან ომი მოიგო,
მაგრამ ვაი, რომ უფლისწული არ ხარ, როდრიგო.

უგულო ბედო, რად გამწირე ასე უღმობლად?
ღირსება გრძნობას რად გადაჰკიდე?
სასტიკო ხვედრო, რატომ გინდა მოშხამო ტრფობა?
რად არ მახარებ? ეგზომ ტანჯვას რად უნდა მგვირიდე?
რამდენ ხანს უნდა ვიოხრო კიდევ
და გულმა სანამ გაუძლოს თმობას!
უღვთოდ წამებულს ჩაუქრობი ცეცხლი ედება:
ვერც სატრფოს ნახავს, აღარც ტრფობა გაუნელდება.

მაგრამ ფუჟ აზრებს შეუპყრია ჩემი გონება
თუმც დაემცირდები, რომ გავხდე შენი,
როდრიგო, გული შენ გირჩევს და შენ გემონება.
ვინც გაიმარჯვა, დაატყვევა მავრთა მეფენი,
მეფის გვირგვინი რად არ შეჰფერის?
ღიდკაცებს უნდა თვლიდე ტოლებად.
მტრებმაც შეგაქეს, სიდი თვითონ გიწოდეს მედგარს
და შენ უფლება მოიპოვე, რომ მეფე გერქვას.

ჩემი ღირსია აწ როდრიგო, მაგრამ ის დავთმე,—
ახლა ხიმენას მიჯნური არის.
შეყვარებულთა გულში მტრობაც ზიზღს ველარ ბადებს
და ძალას კარგავს შურისმგებლის სასტიკი მსჯავრი.
ჩვენს შორის ისევ დიდია ზღვარი,
თუმც გრაფის ცოდვა მას კისრად აღევს,
რა უღმობელი ბედისწერის გადამკიდე ვარ:
ერთმანეთს მტრობენ, ერთმანეთი უყვართ კიდევაც.

გამოსვლა მისამი

ინფანტა, ლეონორა

ინფანტა

ლეონორ საით?

ლეონორა

ქალბატონო, თქვენ გეახელით.

აწ ალბათ აღარ შეგაწუხებთ სევდა-ნაღველი.

ინფანტა

რა დამამწვიდებს? მწუხარებას მიღვივებს ვნება.

ლეონორა

ტრფობა იმედით სულდგმულობს და მასთანვე კვდება:
ალბათ როდრიგო ვერ მოგხიბლავთ თქვენ ამას იქით,—
ორთა ბრძოლაში გაიწვია ხიმენამ იგი.
ის ან მოკვდება, ან ხიმენას ქმარი გახდება,
დაჰკარგავთ იმედს, ხოლო სული გაჯანსაღდება.

ინფანტა

ო, არა, არა!

ლეონორა

საიმედო მამ რაღა დაგრჩათ!

ინფანტა

ყველა იმედი ცოცხალია, სწორედ ეს მტანჯავს.
ბრძოლის პირობა ისეთია, რომ შემწვევს ძალი
ჩავაგებინო მეტოქეებს ქარქაშში ხმალი.
მიჯნურებს ტრფობა ათასნაირ მახეებს გვიგებს,
სამაგიეროდ ათასნაირს გვასწავლის ხრიკებს.

ლეონორა

რას უნდა გახდეთ, თუმც ქალიშვილს მოუკლა მამა,
მათ შორის მტრობის ჩამოგდება ვერ შეძლო ამან.

ხიმენა თავის საქციელმა გასცა აშკარად,—
მან სატრფოს ზიზღი გულს ოდნავაც არ გააკარა,
მას კი არ ანდო შურისგება, ვინაც ღირსია,
ვინც უცაბედად თვალში მოხვდა, ის აირჩია.
თავის დამცველად არ მოიხმო ის რაინდები,
რომელთა მკლავი შემოსილი არის დიდებით.
სანჩოს არჩევა ხიმენასთვის ხელსაყრელია,—
გამოუტდელის დამარცხება არცთუ ძნელია.
აღარაფერი დააბრკოლებს ხიმენას წადილს,
რადგან ღონ სანჩო საბრძოლველად პირველად გადის.
ამის მიხვედრა აღვიღა და ვხედავ ცხადად,
რომ ორთა ბრძოლის მოგვარებით თავს ძალას ატანს,
როდრიგოსათვის გამარჯვებას წინასწარ ჭედავს
და შერიგების საბაბსაც ხომ ამაში ხედავს.

ი ნ ფ ა ნ ტ ა

სწორედ ამიტომ მეზიზღება ზოგჯერ ხიმენა,
ხოლო როდრიგო ისე მიყვარს, ვერ აღწერს ენა.
უბედურ მიჯნურს აღარ ვიცი, რა მეშველება.

ლ ე ო ნ ო რ ა

გაიხსენეთ, რომ თქვენ ხართ მეფის გვარის შვენება,
თქვენ, ვისი ღირსიც ზეცის მაღლით უფლისწულია,
ხელქვეითს ეტრფით!

ი ნ ფ ა ნ ტ ა

შემეცვალა აზრი სრულიად.

თუმცა როდრიგოს არ აშშვენებს მეფური გვარი,
ახლა ის ჩემთვის საყვარელი სხვაგვარად არის:
მიყვარს, ვით გამირი, ვინ არ არის მისი მქებელი,—
ის არის სიდი, ორი მეფის დამტყვევებელი.
კილვას არ ვუფრთხი, თავდაჭერას მაინცა ვცდილობ,
რადგან არ მინდა მას დიდება რომ დაუჭრდილო.
მეფეც რომ გახდეს, ვნახო ტახტზე ამალღებული,

მაინც დავრჩები ერთხელ თქმული სიტყვის ერთგული.
იგი მეტოქეს დაამარცხებს, ეს ვიცი მტკიცედ
და მას ხიმენას ხელმეორედ საჩუქრად მივცემ.

გ ა ზ ო ს ვ ლ ა მ ი ო თ ხ ე

ხ ი მ ე ნ ა, ე ლ ვ ი რ ა

ხ ი მ ე ნ ა

რა უბედური ვარ, ელვირა, როგორ ვეწამე!
არ ვიცი რა მსურს და განვიციდი საშინელ წამებს.
ჩემს გულს სურვილი არ იზიდავს ახლა არც ერთი,
მონანიება მინდა მხოლოდ სულის გამწმენდი:
ჩემი გულისთვის შეებმიან ერთი მეორეს,
ერთი მათგანის გამარჯვება მე ცრემლებს მომრევს,
რადგან მეორეს მაშინ უნდა დღე მოესწრაფოს:
ან შურისგებას ველარ შევძლებ, ან ვკარგავ სატრფოს.

ე ლ ვ ი რ ა

თქვენს გულს ეს მხოლოდ დაამშვიდებს, ნუ გეფიქრებათ:
ან შურს იძიებთ, ან როდრიგო თქვენი იქნება.
რომელსაც გინდა მოხვდეს ბედის მსახვრალი ხელი,
ღირსების დაცვა და ქორწილით დატკბობა გელით.

ხ ი მ ე ნ ა

ქმრად გავიხადო ის, ვინაც მძაგს ყველაზე მეტად?
როდრიგოს მკვლელთან ვიქორწინო? ან მამის მკვლელთან?
ასე თუ ისე, ჩემს მეუღლეს ერქმევა მკვლელი,
უბედური ვარ, უნუგეშო ცრემლების მღვრელი.
ბრძოლის შედეგი თვით სიკვდილზე საშინელია.
ღირსებაც, ტრფობაც, თქვენთვის ბრძოლა რარიგ ძნელია!
ძვირად მიჯდება, მეტად ძვირად თქვენი შეძენა.
ნუ გაუმარჯვებ ნურც ერთ მათგანს, მისმინე ზენაც!
ჩემო მტანჯველო, შეისმინე ჩემი ვედრება!

ელვირა

თქვენი ცეცხლი ხომ ამით მაინც არ შენელებდა.
პირიქით უფრო საშინელი ტანჯვა მოველით:
თქვენ მოგიხდებათ იყოთ ისევ დაუნდობელი,
მტრობა ხელახლა გავივადებთ, იქცევა ხანძრად
და თქვენ მოითხოვთ, რომ მიჯნური დასაჯონ მკაცრად.
განა მის მოკვლას არ სჯობია მისმა დიდებამ
გალირსოთ ბოლოს მოსვენება და დამშვიდება,
ბრძოლის კანონმა თქვენი ოხვრა შეცვალოს შევებად
და თვითონ მეფემ მოგილოცოთ ბედნიერება?

ხიმენა

რომც გაიმარჯვოს, სულ ერთია არ ჩაებარდები,
ჩემი ღირსება კვლავ დათრგუნავს მკაცრი ბრალდებით.
არ შეუძლიათ არც მეფეს და არც ბრძოლის კანონს,
რომ მამის მკვლეელი შემარიგონ და შემაწყნარონ.
მისთვის სრულიად ადვილია დონ სანჩოს ძლევა,
ჩემს სიამაყეს კი ვერასდროს ვერ მოურევია.
და მბრძანებელი რა ჯილდოსაც უნდა დაჰპირდეს,
მის წინააღმდეგ მე ასობით შევკარებ რაინდებს.

ელვირა

უფროსილდით, ღმერთმა არ უსმინოს თქვენს ამაყ სურვილს,
თორემ იქნება მან თქვენზედაც იძიოს შური.
როგორ! უარყოფთ კარზე მომდგარ ბედნიერებას,
როცა სირცხვილის ყველა მიზეზს ბოლო ედება?
სხვა რაღა გინდათ? უკეთესი რაღა მოხდება?
სატრფოს სიკვდილით განა მამა გაგიცოცხლებათ?
ნუთუ არ კმარა ესოდენი უბედურება?
თუ მწუხარება გასურთ გაგრძელდეს დაუსრულებლად.
თუ თქვენ ესოდენ ჯიუტი ხართ და უკადრისი,
უნდა გითხრათ, რომ არ ყოფილხართ მიჯნურის ღირსი.
ღმერთი ინებებს, რომ როდრიგომ ვერ გაიმარჯვოს,
დალუბავთ მიჯნურს და მეუღლედ დაგრჩებათ სანჩო.

ხიმენა

ჯავრი ისედაც არ მასვენებს გულის დამდნობი,
ტანჯვას ტანჯვაზე ნულარ მირთავ მაგ წინაგრძნობით.
მზად ვარ უარყუო ორივენი თუკი შევძელი.
ისე კი მინდა, რომ როდრიგო იყოს დღევგრძელი.
სიყვარულისთვის სრულიადაც არ ვისარჯები,
მაგრამ როდრიგო რომ დამარცხდეს, სანჩოს დავრჩები.
ყველა სურვილის აღსრულებას შიშით მოველი,
ამას რას ვხედავ, ო, ელვირა, მორჩა ყოველი!

გამოსვლა მესამე

დონ სანჩო, ხიმენა, ელვირა

დონ სანჩო

ეს ჩემი ხმალი დამიგდია თქვენს ფერხთა წინა...

ხიმენა

როგორ! ის ხმალი, ზედ როდრიგოს სისხლი რომ ბრწყინავს?
როგორ მოხვედი, ვით შემოდგი ფეხი კარებში,
შენ, ვინაც მოჰკალ სიყვარული უნეტარესი.
იტირე, ჩემო სიყვარულო, არ გმართებს რიდი,
მამის დიდებას სამარცხვინო მოსცილდა ბინდი.
აღსდგა ღირსება, რომლის დაცვაც მე ასე მსურდა.
გამებო გული, სიყვარული გათავისუფლდა.

დონ სანჩო

თუ უფრო მშვიდად...

ხიმენა

როგორ ბედავს მელაპარაკოს,
ვინც საყვარელი ჩემი გმირი ხმალზე აავო.
ვა, გაეთრიე! ალბათ მოჰკალ მზაკვრული ხერხით,
თორემ პირისპირ გაგაბობდა მისი ხმლის მეხი.

გამორდი-მეთქი, ნურა ჯილდოს ჩემგან ნუ ელი,
ჩემი დამცველი კი არა ხარ, არამედ მკვლელი.

დონ სანჩო

არ გსურს ხიმენა, მაგრამ მაინც გეტყვი იმ ამბავს...

ხიმენა

არ შემძლია, ვერ მოვისმენ საზიზღარ ტრაბახს:
მკვერმეტყველურად დამიხატაუ მე შენს გმირობას,
ჩემს შეცოდებას, მწუხარების უნაპირობას.

გამოსვლა მემძვსა

დონ ფერნანდო, დონ დიეგო, დონ არიასი, დონ
სანჩო, დონ ალონსო, ხიმენა, ელვირა

ხიმენა

ნება მიბოძეთ, ხელმწიფეო, გამოეტყდე მინდა:
გეტყვით ყველაფერს, რის დამალვაც მე მიძიძიმს დიდად.
როდრიგო ძლიერ რომ მიყვარდა, თქვენ კარგად იცით,
მაგრამ მამაჩემს შეეწირა სიცოცხლე მისი.
თქვენ თვითონ ხედავთ, ხელმწიფეო, როგორ შევძელი
შურისგებისთვის სიყვარულზე ამელო ხელი.
როდრიგო მოკვდა, ამის გამო გული დამწვია:
მოსისხლე მტერი მგლოვიარე ქალად მაქცია.
აღსრულდა ვალი, მამის მკვლელმა სული დალია,
ახლა მიჯნურის დატირება ჩემი ვალია.
სანჩომ დამკარგა, ჩემი დაცვა რომ მოინდომა
და ვინც დამკარგა, ვაგლახ, მაინც მისი ჯილდო ვარ.
დიდო მეფეო, შემიბრალებთ უმწურო ქალი,
ნულარ დამღუბავთ, ნულარ დამსჯით კანონის ძალით.
სამსახურისთვის, რომელიც მე მან გამიწია,
ჩემი ქონება მისი იყოს, მთლად გამიცია,
ოღონდ მომცილდეს, არასოდეს არ ნახოს თვალმა,
მსურს სიყვდილამდე დავსტიროდე მიჯნურს და მამას.

დონ დიეგო

აი საბუთი, ხელმწიფეო, სხვა რაღა გინდათ,
დაუფარავად აღიარა, რომ უყვარს წმიდად.

დონ ფერნანდო

დამწვიდდი, შვილო, აწ ცრემლები ნულარა გახრჩობს,
შენი როდრიგო ცოცხალია, იცრუა სანჩომ.

დონ სანჩო

ხიმენამ როცა დამინახა, გული ეტკინა,
ისე განრისხდა, სიტყვა წამსვე შემაწყვეტინა:
როდრიგომ ხმალი რომ ამიკრა, უხმლოდ დარჩენილს,
სულგრძელად მითხრა: „არას გერჩის ჩემი მარჯვენი.
დავთმობ დიდებას, გამარჯვება დე, ნულარ დამრჩეს,
სიცოცხლეს მაინც ვერ წავართმევ ხიმენას დამცველს.
მე არ მცალია, მეფეს უნდა ვეახლო სწრაფად
და ხიმენასთან შენ გაბარებ ამ ბრძოლის ამბავს.
მაგ ხმლით წარსდგები ჩემს მაგიერ ხიმენას წინა“.
ხიმენა ხმალმა ააღელვა და შეაშინა.
გამარჯვებული მე ვეგონე რისხვით ალესილს
და უცაბედად სიყვარული უმხურვალესი
გამოავლინა მან ისეთი თავდავიწყებით,
რომ არც იფიქრა მოესმინა ჩემი სიტყვები.
თუმცა დავმარცხდი, საყვედური მაინც არ მეთქმის,
ბედნიერი ვარ, რომ მათ შორის აღარ ჩავდექი,
ვეღარ დამტანჯოს სიყვარულმა, მწარე იტვებმა,
სატრფოს დაკარგვით სიხარული მომენიჭება.

დონ ფერნანდო

ტრფობის გამხელას, შვილო, არვინ არ დაგიწუნებს,
თავს ნუ იმართლებ, სულ ერთია აღარ ვიწმუნებ.
რის მაქნისია ეგ სიმორცხვე, აბა რად გინდა?
ვალი აღსრულდა და დიდებაც ისევ გაბრწყინდა.

შერცხვენისაგან ღირსეულად იხსენი მამა,
როდრიგო ბევრჯერ განსაცდელში ჩააგდო ამან.
ხომ ხედავ, ღმერთმა ყველაფერი განსაჯა სწორად,
მოილო მაღლი და ერთმანეთს არ დაგაშორათ.
ბედს დამორჩილდი, მორჩილებას შენგან მეც ველი:
მიიღე ჩვენგან უძლეველი როდრიგოს ხელი.

გამოსვლა მუხვიღე

ღონ ფერნანდო, ღონ დიეგო, ღონ როდრიგო,
ღონ ალონსო, ღონ სანჩო, ინფანტა, ხიმენა,
ლევონორა, ელვირა

ინფანტა

ხიმენა, გული დაიმშვიდე, ნუღარა სტირი
და ჩაიბარე მეფის ქალის ხელიდან გმირი.

ღონ როდრიგო

ნუ მიწყენთ, მეფევ, სათხოვარი თქვენთან სხვა არ მაქვს,—
მინდა ხიმენას დავუჩოქო ტრფობით დამწვარმა.
განა იმიტომ მოვედი, რომ დამაჯილდოვოთ?
მოვსულვარ, რათა თქვენს სალხენად სიკვდილი ეპოვო.
ო, ქალბატონო, ტრფობას არვის იმედი ჰქონდა,
არც ბრძოლის კანონს, არცა მეფეს შევლას არ თხოვდა.
შურისგებისთვის ეს საკმაო თუკი არ არის,
მაშინ მიბრძანეთ, ვით დავაცხრო თქვენი ხანძარი.
გსურთ? ათასობით მეომრებთან ვიბრძოლებ შმაგად,
ჩემი ხმლის ნაღვაწს დედამიწას დავაჩნევ დაღად.
დავლევწო მტრები, ჩემი ხმლისა გახდნენ ნაღველი,
საზღაპრო გმირიც, რომ არ იყოს ჩემი ბადალი.
თუკი ეს კმარა თქვენი ღარდის გასაფანტავად
ამასაც შეეძლებ, ყველაფრისთვის, აჰა, მზადა ვარ.
მაგრამ თუ გინდათ, რომ ღირსებას შემწიროთ მსხვერპლად,
თუ გსურთ სიცოცხლე მიჯნურისა აქციოთ ფერფლად,

ნურავის უხმობთ, სხვა ნურავინ იქნება მკვლელი.
აჰა, დამკართ ეს მახვილი თქვენივე ხელით.
მხოლოდ თქვენა გაქვთ უძლეველის დაძლევის ნება,
სხვამ ველარავინ ვერ შეიძლოს შურისძიება.
დაიცხრეთ გული და ცრემლები ნუღარ გდით ღვარად,
თუ მომიგონებთ, სანუგეშოდ ჩემთვის ეს კმარა.
თქვენი ღირსება მე დამიჯდა სიცოცხლის წონად,
სამაგიეროდ შეინახეთ, გთხოვთ, ჩემი ხსოვნა.
ზოგჯერ საფლავში ჩამომესმას თქვენი სიტყვები:
„მოკვდა იმიტომ, რომ ვუყვარდი თავდავიწყებით“.

ხიმენა

ადექ როდრიგო. გამოვტყდები: რაც მეფემ ბრძანა
მართალი არის, სიტყვას უკან წავიღებ განა?
მიყვარს როდრიგო, ბევრი კარგი თვისების მქონე,
მეფის ბრძანებას წინ აღუდგეს, ვის შესწევს ღონე!
პირობა რომ არ შევესრულო, არა მაქვს ნება,
მაგრამ თქვენ თვითონ დათანხმდებით ამ ქორწინებას?
მე რომ ეს მსხვერპლი უყოყმანოდ გავიღო კიდეც,
მიიღებთ განა? თქვენს პირუთვნელ სამსჯავროს ჰკითხეთ,
სამშობლოს მხსნელი ღირსი არის, რომ განაღდილოთ,
მაგრამ ამისთვის რატომ უნდა მე ვიყო ჯილდო?
ჩემივე თავის რატომ უნდა მტანჯავდეს ზიზღი,
რომ დასვრილია ჩემი ხელი მშობელის სისხლით.

ღონ ფერნანდო

დააკანონა არაერთხელ ღროთა დინებამ,
დასაბამითვე რაც გვეგონა შეცთომილება.
თუმცა როდრიგომ შენი ხელი დაიმსახურა
და გამარჯვებამ მას გვირგვინი თავზე დაჰხურა,
მე შენს ღირსებას ამით მხოლოდ დავამცირებდი,
რომ მას ახლავე შენი შერთვის ჰქონდეს იმედი.
თქვენი ქორწილი მერმისისთვის გადამიღვია,

დაქორწინდები შენი ნებით, ადრე თუ გვიან.
ერთ წელს იგლოვე, შემდეგ თვალზე შეიშრე ცრემლი.
შენ კი როდრიგო, კვლავ იარაღს მოჰკიდებ ხელი.
რაკი ნაპირზე დაამარცხე მავრების ჯარი,
არ მოასვენო, სიმაგრეთა შელეწე კარი.
ჩემი ჯარები მტრის მიწაზე მედგრად დასძარი,
გათელე ყანა, ვერ აიღონ ერთი მარცვალცი.
ელდა ეცემათ, შენს სახელს რომ გაიგონებენ,
„სიდი“ გიწოდეს და დაგსვამენ თავიანთ მეფედ.
გამარჯვებებით ფრთაშესხმული, იყავ ერთგული,
იყავ სატრფოსთვის უფრო მეტად თავდადებული.
დაე, დიდება იმოდენა შეგძინოს ომმა,
რომ საამაყოდ თვლიდეს სატრფო შენს გვერდით დგომას.

დონ როდრიგო

ხიმენასათვის, მეფისათვის ყველაფერს შევძლებ,
ჩემი მახვილი თქვენთვის ახალ დიდებას ეძებს.
თუმცა მიჯნურთან განშორება მე ძლიერ მიმძიმს,
ბედნიერი ვარ, რადგან ჩემი იქნება, ვიცი.

დონ ფერნანდო

შენი თავის და მეფის სიტყვის იმედი გქონდეს,
ხიმენას გული თუმც შენია, ჯერ კიდევ გოდებს,
ჯერ კიდევ გებრძვის, მაგრამ გწამდეს, დაამშვიდებენ
დროის დინება, შენი ხმალი და თვითონ მეფე.
